2025

ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის 2023-2024 წლების სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში

© ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებების განმახორციელებელი საუწყებათაშორისო საკოორდინაციო საბჭო

სარჩევი

შესავალი 4
ამოცანა 1.1 ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაულის პრევენცია 6
აქტივობა 1.1.1 ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) სწავლება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში 7
აქტივობა 1.1.2 ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის 2023 და 2024 წლების საინფორმაციო კამპანიის გეგმების შემუშავება 9
აქტივობა 1.1.3 ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) შესახებ საინფორმაციო ვიდეორგოლის გაშვება მედიის საშუალებით 9
აქტივობა 1.1.4 ზოგადი, უმაღლესი და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების დონეზე დისკუსიების, საინფორმაციო შეხვედრებისა ან/და კონფერენციების გამართვა ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) საკითხებზე 10
აქტივობა 1.1.5 უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებების დონეზე ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) თემაზე იმიტირებული სასამართლო პროცესის გამართვა 11
აქტივობა 1.1.6 ტრეფიკინგის რისკების შესახებ საინფორმაციო შეხვედრების ჩატარება იძულებით გადაადგილებულ პირებთან, თავშესაფრის მაძიებლებთან, ეთნიკურ/ეროვნულ უმცირესობებთან, მათ შორის, მიუსაფარ ბავშვებთან 12
აქტივობა 1.1.7 იძულებითი შრომისა და შრომითი ექსპლუატაციის რისკების შესახებ საინფორმაციო შეხვედრების ჩატარება კერძო სექტორში მომუშავე დამსაქმებელთა და დასაქმებულთათვის 13
აქტივობა 1.1.8 ტრეფიკინგის დანაშაულის პრევენციისა და უწყებების მუშაობის გამჭვირვალობის უზრუნველსაყოფად ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ ინფორმაციის მუდმივად განახლება ვებგვერდებზე 13
აქტივობა 1.1.9 ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) თემაზე საქმეებზე ადამიანის უფლებათა ევროპულის სასამარლოს მიერ განხილული საქმეების კვლევითი დოკუმენტების შემუშავება 14
აქტივობა 1.1.10 ყოველწლიურად ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის ევროპული და საერთაშორისო დღის აღნიშვნა (18 ოქტომბერი, 30 ივლისი) 15
აქტივობა 1.1.11 საინფორმაციო მასალის გავრცელება იუსტიციის სახლებსა და საზოგადოებრივ ცენტრებში, სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს ტერიტორიულ სამსახურებში, საქართველოს დიპლომატიურ წარმომადგენლობებსა და საკონსულო დაწესებულებებში, დიასპორულ ორგანიზაციებში, ტურიზმის საინფორმაციო ცენტრებში, სასაზღვრო გამტარ პუნქტებში, იძულებით გადაადგილებულ პირთა და თავშესაფრის მაძიებელთა მიმღებ ცენტრებსა და სხვა მაღალი რისკის შემცველ ადგილებსა და რეგიონებში 15
აქტივობა 1.1.12 ტრეფიკინგის დანაშაულის პრევენციის მიზნით მედიის წარმომადგენლების ცნობიერების ამაღლება ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) თემაზე 17
ამოცანა 1.2 ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაულის გამოვლენის მექანიზმების დახვეწა და ეფექტიანი სისხლისსამართლებრივი დევნის წარმოება 17
აქტივობა 1.2.1 იძულებითი შრომისა და შრომითი ექსპლუატაციის შემთხვევების გამოვლენის მიზნით შრომის ინსპექციის სამსახურის თანამშრომელთათვის სასწავლო ვიზიტის ორგანიზება 17

აქტივობა 1.2.2 ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაულის ფინანსური ასპექტების შესახებ ტრენინგის განხორციელება შესაბამისი პერსონალისთვის.....17
აქტივობა 1.2.3 სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლებით დაკომპლექტებული შემოწმების მობილური ჯგუფებისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის პოლიციის დეპარტამენტის შემადგენლობაში მოქმედი სპეციალისტების ჯგუფის (Task Force) მიერ ტრეფიკინგის მიზნებისთვის მაღალ რისკს მიკუთვნებული ადგილების შემოწმება და დასაქმებულ პირთა გამოკითხვა ტრეფიკინგის ფაქტების გამოვლენის მიზნით.....18
აქტივობა 1.2.4 ტრეფიკინგის მსხვერპლთა ჩვენების არარსებობისას გამოძიებების დაწყება პროაქტიულად.....18
აქტივობა 1.2.5 შრომის ინსპექციის სამსახურსა და ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტს შორის თანამშრომლობა შრომითი ექსპლუატაციის ნიშნების გამოვლენის, რეფერირებისა და დროული რეაგირების მიზნით.....18
აქტივობა 1.2.6 ყოველწლიურად ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაულის ახალი ტენდენციების, ასევე, მსხვერპლთა/დაზარალებულთა და დამნაშავეთა პროფილის შესწავლა და შეფასება არსებული საქმეების საფუძველზე.....19
აქტივობა 1.2.7 პროკურორებისა და სტაჟიორ-პროკურორების გადამზადება და ახალი ტენდენციების გაცნობა ადამიანით ვაჭრობის საკითხებზე.....19
აქტივობა 1.2.8 მოწმეთა და დაზარალებულთა კოორდინატორების გადამზადება ტრეფიკინგის სისხლის სამართალწარმოებაში ეფექტიანად ჩართვის მიზნით.....21
აქტივობა 1.2.9 სასაზღვრო გამტარ პუნქტებში მომუშავე პერსონალის გადამზადება ტრეფიკინგის მსხვერპლთა/პოტენციურ მსხვერპლთა და დამნაშავეთა გამოვლენის მიზნით.....22
აქტივობა 1.2.10 საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის გამომძიებლების, საპატრულო პოლიციისა და კრიმინალური პოლიციის ტერიტორიული დანაყოფების თანამშრომლების გადამზადება და მათთვის ახალი ტენდენციების გაცნობა ტრეფიკინგის საქმეების გამოძიებისა და მსხვერპლთან/დაზარალებულთან მუშაობის გაუმჯობესების მიზნით.....23
აქტივობა 1.2.11 აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის პოლიციის დეპარტამენტის შემადგენლობაში მოქმედი სპეციალისტების ჯგუფის წევრების (Task Force) გადამზადება ტრეფიკინგის თემაზე და მათთვის ახალი ტენდენციების გაცნობა სავარაუდო მსხვერპლთა/დაზარალებულთა გამოვლენასა და მათთან მოპყრობასთან დაკავშირებით.....28
აქტივობა 1.2.12 საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიგრაციის დეპარტამენტის თანამშრომელთა გადამზადება ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) თემაზე.....29
აქტივობა 1.2.13 შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტის თანამშრომელთა პროფესიული განვითარება.....30
აქტივობა 1.2.14 შრომის ინსპექციის სამსახურის თანამშრომელთა გადამზადება სავარაუდო მსხვერპლთა/დაზარალებულთა გამოვლენასა და მათთან მოპყრობასთან დაკავშირებით.....30
აქტივობა 1.2.15 ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) თემაზე მოსამართლეებისა და მათი თანაშემწეების გადამზადება.....30
აქტივობა 1.2.16 საზღვარგარეთ საქართველოს საკონსულო თანამდებობის პირთა გადამზადება ტრეფიკინგის სავარაუდო მსხვერპლთა/დაზარალებულთან მოპყრობისა და დახმარების საკითხთან დაკავშირებით.....31
აქტივობა 1.2.17 იუსტიციის სახლების, სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს ტერიტორიული სამსახურებისა და საზოგადოებრივი ცენტრების

თანამშრომელთა გადამზადება ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) თემაზე 31
აქტივობა 1.2.18 საერთაშორისო სამშვიდობო მისიებში მონაწილე ქართველი სამხედროების მომზადება ტრეფიკინგის სავარაუდო მსხვერპლთა/დაზარალებულების იდენტიფიცირების, მათთან მოპყრობის, მათი დახმარებისა და რეფერირების საკითხებთან დაკავშირებით 31
ამოცანა 1.3 ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა/დაზარალებულთა საზოგადოებაში რეინტეგრაციის ხელშეწყობა 31
აქტივობა 1.3.1 ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა არსებული თავშესაფრების და კრიზისული ცენტრების საქმიანობის მონიტორინგი.....32
აქტივობა 1.3.2 ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა/დაზარალებულ უცხო ქვეყნის მოქალაქისა და მოქალაქეობის არმქონე პირთა მუდმივ ადგილსამყოფელ სახელმწიფოში, ხოლო ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლ საქართველოს მოქალაქეთა საქართველოს ტერიტორიაზე უსაფრთხოდ დაბრუნების უზრუნველყოფა .32
აქტივობა 1.3.3 უცხო ქვეყნის მოქალაქისა და მოქალაქეობის არმქონე ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა/დაზარალებულთა, საჭიროების შემთხვევაში, დროებითი ბინადრობის ნებართვით უზრუნველყოფა.....32
აქტივობა 1.3.4 ტრეფიკინგის მსხვერპლთა და დაზარალებულთა დასაქმების ხელშეწყობის მიზნით არსებული პრაქტიკისა და შესაძლებლობების ანალიზი და რეკომენდაციების შემუშავება 33
აქტივობა 1.3.5 ტრეფიკინგის მსხვერპლთა იდენტიფიცირების მუდივმოქმედი ჯგუფის უნარ-ჩვენების ამაღლება გადამზადების გზით.....33
აქტივობა 1.3.6 ზრუნვის სააგენტოს პერსონალის უნარ-ჩვევების ამაღლება ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების საკითხებში ტრენინგების გზით 33
აქტივობა 1.3.7 ტრენინგის გზით იურიდიული დახმარების სამსახურის თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლება ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) საკითხებზე 34
აქტივობა 1.3.8 იურიდიული დახმარების სამსახურის ადვოკატებისთვის ტრეფიკინგის ვიწრო სპეციალიზაციის შემოღება 34
აქტივობა 1.3.9 სამედიცინო სერვისების მიმწოდებლების გადამზადება ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) საკითხებზე.....34
აქტივობა 1.3.10 ტრენინგის გზით სოციალური მუშაკების კვალიფიკაციის ამაღლება ტრეფიკინგის მსხვერპლებისა და დაზარალებულების დახმარების საკითხებში.....35
ამოცანა 1.4 ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის პოლიტიკის გაუმჯობესება კოორდინაციისა და თანამშრომლობის მექანიზმის გაძლიერების გზით.....35
აქტივობა 1.4.1 სამოქმედო გეგმის შესრულების პროგრესანგარიშის (6-თვიანი) და მონიტორინგის ანგარიშის (წლიური) მომზადება 35
აქტივობა 1.4.2 ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებების განმახორციელებელი საუწყებათაშორისო საბჭოს საქმიანობის შესახებ საინფორმაციო ბიულეტენების მომზადება.....36
აქტივობა 1.4.3 ახალი სამოქმედო გეგმის პროექტის მომზადება და საბჭოს მიერ დამტკიცება.....36
აქტივობა 1.4.4 ერთობლივი ღონისძიებების განხორციელების გზით სახელმწიფო უწყებების თანამშრომლობის გაღრმავება არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებთან.....36
აქტივობა 1.4.5 შრომითი ექსპლუატაციის პრევენციისა და მასზე რეაგირების მიზნით ბიზნესსექტორთან თანამშრომლობის გაღრმავება.....37

აქტივობა 1.4.6 ბავშვთა ტრეფიკინგის შემთხვევებზე ეფექტიანი რეაგირების მიზნით ზრუნვის სააგენტოს, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და პროკურატურის ერთობლივი სამუშაო შეხვედრების ჩატარება 37
აქტივობა 1.4.7 შრომითი ექსპლუატაციის შემთხვევებზე ეფექტიანი რეაგირების მიზნით ჯანდაცვის სამინისტროს (შრომის ინსპექციის სამსახური), შინაგან საქმეთა სამინისტროს და პროკურატურის ერთობლივი სამუშაო შეხვედრების ჩატარება 38
აქტივობა 1.4.8 სისხლის სამართლის პროცესში მონაწილე უწყებების მიერ, საჭიროების შემთხვევაში, დასრულებული საქმეების ერთობლივი განხილვა ტრეფიკინგის დანაშაულის ახალი ტენდენციების გამოვლენის მიზნით 38
აქტივობა 1.4.9 პარტნიორი ქვეყნების, განსაკუთრებით კი, საქართველოს მოსაზღვრე სახელმწიფოების შესაბამის უწყებებთან თანამშრომლობის გაღრმავება/მოლაპარაკებების დაწყება, მათ შორის, ტრანსნაციონალური თანამშრომლობის გაღრმავების მიზნით 38
აქტივობა 1.4.10 ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) საქმეებზე უცხო ქვეყნების სამართლებრივი დახმარების შუამდგომლობების შესრულება და საქართველოს კომპეტენტური ორგანოების სამართლებრივი დახმარების შუამდგომლობების გადაგზავნა მოკლე ვადებში 39

შესავალი

ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლა, განსაკუთრებით კი, არასრულწლოვანთა ტრეფიკინგთან ბრძოლა, წარმოადგენს საქართველოს მთავრობის ერთ-ერთ პრიორიტეტულ საკითხს. საქართველო აქტიურად აგრძელებს ღონისძიებების განხორციელებას, რომლებიც მიზნად ისახავს სამთავრობო და არასამთავრობო სექტორის მჭიდრო თანამშრომლობით ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) თავიდან აცილებასა და მის წინააღმდეგ ბრძოლის ხელშეწყობას, ამ დანაშაულის ეფექტიან გამოძიებას, სისხლისსამართლებრივ დევნას, მსხვერპლთა და დაზარალებულთათვის ეფექტიანი დახმარების აღმოჩენას, მათ საფუძვლიან რეაბილიტაციასა და საზოგადოებაში რეინტეგრაციას.

ტრეფიკინგთან ბრძოლის ერთიანი და კოორდინირებული სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელების უზრუნველსაყოფად,2006 წლიდან ინსტიტუციურ დონეზე მოქმედებს ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებების განმახორციელებელ საუწყებათაშორისო საკოორდინაციო საბჭო (შემდგომ – ტრეფიკინგთან ბრძოლის საბჭო).

საბჭო კოორდინაციას უწევს ტრეფიკინგის საკითხებზე მომუშავე სამთავრობო უწყებების მუშაობას, მონიტორინგს ახორციელებს ეროვნული სამოქმედო გეგმის ჯეროვან შესრულებაზე, მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების, დანაშაულის პრევენციისა და სისხლისსამართლებრივი დევნის წარმოების მიზნით შეიმუშავებს რეკომენდაციებსა და, საჭიროების შემთხვევაში, საკანონმდებლო ცვლილებებს, ასევე, ამზადებს სამოქმედო გეგმის შესრულების პერიოდულ და საბოლოო ანგარიშებს.

ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტიანად განხორციელების მიზნით 2022 წლის 27 დეკემბერს საბჭომ დაამტკიცა ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის ორწლიანი ეროვნული სამოქმედო გეგმა (შემდგომ – სამოქმედო გეგმა), რომელიც მოიცავს 2023-2024 წლებში განსახორციელებელ საქმიანობებს.

სამოქმედო გეგმა, ასევე, დიდ ყურადღებას უთმობს ადამიანით ვაჭრობასთან (ტრეფიკინგთან) ბრძოლის პოლიტიკის განვითარებას ანალიზისა და კვლევის საფუძველზე, ტრეფიკინგის თემაზე საზოგადოების ცნობიერების ამაღლების კომპონენტსა და ადამიანით ვაჭრობის საკითხებზე მომუშავე პირების კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით პროფესიული ტრენინგების ჩატარებას.

სახელმწიფოს მიერ ზემოაღნიშნული მიმართულებებით განხორციელებული ღონისძიებების შედეგად აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ გამოქვეყნებულ ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის კუთხით 2023 და 2024 წლების ანგარიშებში „ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ სახელმწიფოების მიერ განხორციელებული ღონისძიებებით საქართველო მსოფლიოს მასშტაბით კვლავ პირველ საფეხურზეა. საქართველო სრულად აკმაყოფილებს ტრეფიკინგთან ბრძოლის სტანდარტებს და მუდმივ რეჟიმში აგრძელებს თანმიმდევრულ და კოორდინირებულ ღონისძიებებს ტრეფიკინგთან ბრძოლის კუთხით.

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის 2023-2024 წლების სამოქმედო გეგმის შესრულების 2-წლიან ანგარიშს, რომელიც მოიცავს 2023 წლის 1-ელი იანვრიდან 2024 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდს.

ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) 2023-2024 წლების სამოქმედო გეგმის მონიტორინგის საფუძველზე დადგინდა, რომ სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული 53 აქტივობიდან სრულად შესრულდა 35 აქტივობა (70%), მეტწილად შესრულდა 7 აქტივობა (14%), ნაწილობრივ შესრულდა 4 აქტივობა (8%), და არ შესრულდა 4 აქტივობა (8%).

ამოცანა 1.1 ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაულის პრევენცია

ინდიკატორი: საზოგადოების, მათ შორის, ეთნიკური უმცირესობების რაოდენობა, ვინც ინფორმირებულია ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) შესახებ

სტატუსი: მონაცემი არ არის ხელმისაწვდომი

2022 წელს მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისიის დაკვეთით გლობალურმა კვლევითმა ორგანიზაცია „act"-მა საქართველოს მასშტაბით ჩაატარა საზოგადოებრივი აზრის კვლევა მიგრაციის საკითხებზე. რაოდენობრივი კვლევის ანგარიშის თანახმად, გამოკითხული პირებიდან 10-დან 6-მა იცის, რა არის ტრეფიკინგი, ხოლო ეთნიკური უმცირესობებიდან 10-დან 5-მა იცის, რა არის ტრეფიკინგი.

2024 წელს საზოგადოებრივი აზრის კვლევა არ განხორციელებულა. შესაბამისად, საზოგადოების ინფორმირებულობის მაჩვენებელი არ არის ხელმისაწვდომი.

აქტივობა 1.1.1 ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) სწავლება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში

ინდიკატორი: სამოქალაქო განათლების სახელმძღვანელოებში ინტეგრირებული ტრეფიკინგის თემა; ტრეფიკინგის საკითხებზე დამხმარე სახელმძღვანელოები, მათ შორის, უმცირესობების ენაზე; უმაღლესი სასწავლებლების რაოდენობა, სადაც მიმდინარეობს ტრეფიკინგის სწავლება

სტატუსი: სრულად შესრულდა

ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) სწავლება მიმდინარეობს შემდეგ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში:

- შპს „ქუთაისის უნივერსიტეტის" სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სავალდებულო სასწავლო კურსს წარმოადგენს „სისხლის სამართლის კერძო ნაწილი (ადამიანის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული)", რომლის ფარგლებში სასწავლო თემატიკაა „ადამიანით ვაჭრობა (ტრეფიკინგი)", აგრეთვე არჩევით სასწავლო კურსს წარმოადგენს „ბავშვთა უფლებების დაცვის სამართალი". აღნიშნული სასწავლო კურსის ფარგლებშიც სასწავლო თემატიკად გათვალისწინებულია არასრულწლოვნით ვაჭრობა (ტრეფიკინგი);
- ა(ა)იპ „ჯიპა – საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის" სამართლის საბაკალავრო პროგრამის ფარგლებში სასწავლო კურსში;
- შპს „კავკასიის უნივერსიტეტში" 2023 წლის შემოდგომის სემესტრში სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის საგანში „ორგანიზებული დანაშაული: სამართალშეფარდების პრობლემები";
- სსიპ „ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის" სამაგისტრო პროგრამის სასწავლო კურსში „ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის),

ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ საერთაშორისო სამართლებრივი სტანდარტები;

- სსიპ „გორის სახელმწიფო უნივერსიტეტში“ ტრეფიკინგთან დაკავშირებული საკითხები ისწავლება სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე სასწავლო კურსში „სისხლის სამართლის კერძო ნაწილი“ (ადამიანისა და კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული), ასევე, სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე სასწავლო კურსში „ინდივიდუალური სამართლებრივი სიკეთის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული: სამართალშეფარდების პრობლემები“;
- სსიპ „სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის“ სამართლის საბაკალავრო პროგრამაში;
- სსიპ „ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის“ სამართლის სკოლის საბაკალავრო პროგრამაზე, კურსი „ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) სამართლებრივი ასპექტები“.
- სსიპ „შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის“ სამართლის საგანმანათლებლო საბაკალავრო პროგრამაში ასახულია საკითხები ტრეფიკინგის და მასთან დაკავშირებული თემების შესახებ;
- სსიპ „თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის“ სამეანო საქმის საბაკალავრო პროგრამის სასწავლო კურსში „ბიოეთიკა“ ისწავლება ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგი) საკითხები;
- შპს „სულხან საბა ორბელიანის უნივერსიტეტის“ სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაში საგანია „ვიქტიმოლოგია“, რომლის ფარგლებში განხილულია ტრეფიკინგის საკითხები; ასევე, სამართლის სამაგისტრო პროგრამაში სასწავლო კურსში „სქესობრივი დანაშაული“ იკითხება ტრეფიკინგის საკითხები;
- სსიპ „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის“ სამართალმცოდნეობის საბაკალავრო და სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაში ტრეფიკინგისა და მასთან დაკავშირებული სასწავლო საკითხები ინტეგრირებულია სისხლის სამართლის კერძო ნაწილის სასწავლო კურსში და განიხილება სწავლების პროცესში. ტრეფიკინგი და მასთან დაკავშირებული ფსიქოტრავმები, ასევე, განიხილება ფსიქოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ სასწავლო კურსებში „ბავშვთა მიმართ ძალადობა“, „ფსიქოკონსულტირება“ და „ფსიქოთერაპია“;
- სსიპ „ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის“ სასწავლო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამებში ტრეფიკინგსა და მასთან დაკავშირებული საკითხები განიხილება შემდეგ სასწავლო კურსებში: „საზღვაო ნავიგაციის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსში „საზღვაო სამართალი“; „საზღვაო ნავიგაციის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსში „საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაციის კონვენციები“; „ბიზნესის ადმინისტრირების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსში „დემოკრატია და მოქალაქეობა“; „საზღვაო ნავიგაციის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსში ,,ეთიკა და ლიდერობა“;

- შპს „პეტრე შოთაძის სახელობის თბილისის სამედიცინო აკადემიაში“ ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში, კერძოდ, მე-12 სემესტრში, ისწავლება „კლინიკური ეთიკა და სამედიცინო პრაქტიკის სამართლებრივი საფუძვლები“;
- შპს „თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის“ სამართლის საგანმანათლებლო პროგრამაში;
- სსიპ „საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის“ სამართლის საბაკალავრო პროგრამის სასწავლო კურსებში;
- შპს „საქართველოს საერთაშორისო უნივერსიტეტი ჯიუ“-ს სამართლის სკოლის სამართლის საბაკალავრო და სისხლის სამართლის სამაგისტრო პროგრამებში;
- შპს „ახალი უმაღლესი სასწავლებელი ნიუ-უნის“ საერთაშორისო საჯარო სამართლის სალექციო კურსში;
- სსიპ „სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის“ სამართლის საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამის სასწავლო კურსის ცალკეული ლექციის ფარგლებში;
- სსიპ „აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტშ“ი „სამართლის" საბაკალავრო პროგრამის სასწავლო კურსში.

რაც შეეხება სასკოლო ასაკში ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) სწავლებას, ეროვნული სასწავლო გეგმის საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ჯგუფის სტანდარტი ითვალისწინებს:

- IV კლასში „მე და საზოგადოება“ საგნის სტანდარტი ითვალისწინებს თემას – რატომ არ შეიძლება ბავშვის შრომის ბოროტად გამოყენება? საკლასო აქტივობა – ყოფითი შემთხვევის განხილვა, როცა მათი რომელიმე თანატოლის შრომას არასწორად (მაგ.: მძიმე ფიზიკური შრომა, სათამაშო ან სამეცადინო დროის შეზღუდვა) იყენებენ;
- IX კლასში „მოქალაქეობა“ საგნის ერთ-ერთი თემაა – საერთაშორისო საფრთხეებისა (ტრეფიკინგი, ფუნდამენტალიზმი, ტერორიზმი, ექსტრემიზმი, რადიკალიზმი, ავტორიტარიზმი, ტოტალიტარიზმი, შეიარაღებული კონფლიქტი) და მიგრაციის თანამედროვე გამოწვევების (ლტოლვილობა, დევნილობა, თავშესაფრის მაძიებლები, ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირები) იდენტიფიცირება; მათი გადაჭრის შესაძლო გზებსა და ამისთვის საჭირო რესურსებზე მსჯელობა. ამავე საგანში თემატურ ბლოკში „მოქალაქე და სახელმწიფო“ განიხილება, თუ რატომ არის მნიშვნელოვანი სამსახურის დაწყებისას შრომითი ხელშეკრულების გაფორმება.

ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად შექმნილი გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოები როგორც ქართულ, ისე აზერბაიჯანულ, რუსულ და სომხურ ენებზე მიწოდებულია შესაბამისი კლასის ყველა მოსწავლისთვის.

ზემოაღნიშნული გრიფირებული სასკოლო სახელმძღვანელოს გარდა, მნიშვნელოვანი სასწავლო რესურსია მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის (IOM) მიერ მომზადებული დამხმარე სახელმძღვანელოები IX და X კლასებისათვის სათაურით „ადამიანით ვაჭრობა

(ტრეფიკინგი)“, რომლებიც ორ-ორი საგაკვეთილო თემისაგან შედგება. სახელმძღვანელოები გამდიდრებულია ვიდეორესურსითაც და თან ახლავს სპეციალური ცნობარი მშობელთათვის.

აქტივობა 1.1.2 ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის 2023 და 2024 წლების საინფორმაციო კამპანიის გეგმების შემუშავება

ინდიკატორი: შემუშავებული საინფორმაციო გეგმის დოკუმენტები

სტატუსი: მეტწილად შესრულდა

2023 წლის 27 დეკემბერს გამართულ ადამიანით ვაჭრობის წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებების განმახორციელებელი საუწყებათაშორისო საბჭოს სხდომაზე შეიქმნა ცნობიერების ამაღლების კოორდინაციასა და შესრულების მონიტორინგზე პასუხისმგებელი სამუშაო ჯგუფი.

2023-2024 წლებში სამუშაო ჯგუფი, რომლის შემადგენლობაში სახელმწიფო უწყებებთან ერთად პარტნიორი საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებიც შედიოდნენ, მუშაობდა ჰიბრიდულ ფორმატში. კონსულტაციების შედეგად სამუშაო ჯგუფმა შეიმუშავა ცნობიერების ამაღლების 2024 წლის კალენდარი.

აქტივობა 1.1.3 ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) შესახებ საინფორმაციო ვიდეორგოლის გაშვება მედიის საშუალებით

ინდიკატორი: მედიასაშუალებების რაოდენობა გაშვების დროის მითითებით, რომელთა მეშვეობითაც გავრცელდა საინფორმაციო ვიდეორგოლი (მინ. 2); სატელევიზიო ვიდეორგოლის რაოდენობა (მინ. 1)

სტატუსი: სრულად შესრულდა

საანგარიშო პერიოდში მომზადდა და გავრცელდა შემდეგი საინფორმაციო ვიდეორგოლები ადამიანით ვაჭრობის თემაზე:

- 2023 წლის მე-4 კვარტალში კრიმინალური დოკუმენტური სერიალის „პოლიციის ფაილების“ სერიები მომზადდა და გავრცელდა. ბოლო სერია წარმოადგენდა შემაჯამებელ ფილმს, რომელიც ეხებოდა 2023 წელს, შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ სხვადასხვა მიმართულებით განხორციელებულ აქტივობებსა და ღონისძიებებს;
- პოლიციის ფაილების 2023 წლის შემაჯამებელ სერიაში სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის დირექტორმა ვრცლად ისაუბრა ორგანიზებული დანაშაულის სახეობებზე, მათ შორის, ტრეფიკინგზე, მის რისკებსა და არასრულწლოვანთა მიმართ დანაშაულის გამოვლენის ფორმებზე. აღნიშნული სერია გაშუქდა „რუსთავი 2“-ის სატელევიზიო ეთერში და განთავსდა სამინისტროს ოფიციალურ არხებზე;
- 2023-2024 წლებში სსიპ „სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს (ზრუნვის სააგენტო)“ საკონსულტაციო ცხელი ხაზების შესახებ ინფორმაციული ვიდეორგოლი 8 შემთხვევაში გავრცელდა შემდეგი ტელეკომპანიების ეთერში: „რუსთავი 2“, ტვ „იმედი“, „საზოგადოებრივი მაუწყებელი“, „პოს ტვ“ და შპს „პალიტრა ტვ“;

- 2024 წლის ივლისში საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ ადმინისტრაციული რესურსით მომზადდა და ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის, სამინისტროს ოფიციალური სოციალური ქსელისა და Youtube-არხის საშუალებით გავრცელდა „პოლიციის ფაილების“ (მე-8 სეზონი) ფილმი, რომელიც ორგანიზებული დანაშაულის ერთ-ერთ მიმართულებას – ადამიანით ვაჭრობასთან (ტრეფიკინგთან) ბრძოლას ეხებოდა (ეპიზოდი „ტრეფიკინგის საქმე“). აღნიშნულმა სერიამ სამინისტროს ოფიციალური სოციალური ქსელისა და Youtube-არხის საშუალებით დააგროვა 148 476 ნახვა. 2024 წლის განმავლობაში, ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგი) დანაშაულის ჩადენისათვის დაკავებების შესახებ განთავსდა 5 ვიდეომასალა, რომლებსაც ჯამურად ჰქონდა 305 125 ნახვა;
- 2024 წლის 30 ივლისს, ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, სტუდია „იუსტიციის“ სოციალურ ქსელებში გამოქვეყნდა სიუჟეტი ტრეფიკინგის საფრთხეების, მისგან თავის დაცვის საშუალებებისა და სახელმწიფო პოლიტიკის შესახებ, რომლის ფარგლებში პასუხი გაეცა საზოგადოებისთვის მნიშვნელოვან და საინტერესო კითხვებს ადამიანით ვაჭრობის თაობაზე.

აქტივობა 1.1.4 ზოგადი, უმაღლესი და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების დონეზე დისკუსიების, საინფორმაციო შეხვედრების ან/და კონფერენციების გამართვა ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) საკითხებზე

ინდიკატორი: განხორციელებული ღონისძიებების რაოდენობა (მინ. 30); მონაწილეთა რაოდენობა (მინ. 800)

სტატუსი: სრულად შესრულდა

საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს ორგანიზებით 2023-2024 წლებში ზოგად, უმაღლეს და პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში საინფორმაციო ხასიათის სხვადასხვა ღონისძიება განხორციელდა 49 სახელმწიფო საგანმანათლებლო დაწესებულებაში, რომელთაც 1 600-ზე მეტი დაინტერესებული პირი (სტუდენტი, მოსწავლე, ადმინისტრაციული პერსონალი და სხვა) დაესწრო.

საანგარიშო პერიოდში ზრუნვის სააგენტომ ორგანიზება გაუწია 8 საინფორმაციო შეხვედრას საგანმანათლებლო დაწესებულებებთან, რომელთაც, ჯამში, დაესწრო 240-მდე ადამიანი.

საინფორმაციო შეხვედრები გამართეს ასევე, სსიპ „შრომის ინსპექციის სამსახურის“ წარმომადგენლებმა. ჯამში, გამართულ 6 შეხვედრაზე შრომის ინსპექციის სამსახურის წარმომადგენლებმა სტუდენტებს სამსახურის მანდატი, საკანონმდებლო სიახლეები, შრომითი უფლებების და შრომის უსაფრთხოების ძირითადი პრინციპები გააცნეს. შეხვედრებზე განხილული იყო შრომის უფლებებისა და უსაფრთხოების მიმართულებით არსებული ყველა ძირითადი ნორმა, მათ შორის, იძულებითი შრომის და შრომითი ექსპლუატაციის ფაქტებზე პრევენციის, რეაგირების და გამოვლენის მექანიზმები, ზეგანაკვეთური შრომის ანაზღაურების წესი და სხვა; ასევე, ის უსაფრთხოების სტანდარტები, რასაც საჯარო თუ კერძო ორგანიზაციები უნდა აკმაყოფილებდნენ.

2023 წლის 14, 21, 30 ივლისსა და 3 აგვისტოს, კამპანია „ემეგობრე პოლიციას“ ფარგლებში, შინაგან საქმეთა სამინისტროს სხვადასხვა დანაყოფის ხელმძღვანელმა პირებმა საინფორმაციო-შემეცნებითი ხასიათის შეხვედრები გამართეს ანაკლიის ახალგაზრდულ

ბანაკში. უწყების წარმომადგენლებმა, საერთო ჯამში, 1000-მდე ახალგაზრდას მიაწოდეს ინფორმაცია სხვადასხვა მნიშვნელოვან საკითხზე, მათ შორის, ტრეფიკინგზე, ამ დანაშაულის სპეციფიკურ მახასიათებლებზე, სამართალდამცავი უწყებისთვის მომართვისა და თანამშრომლობის მნიშვნელობაზე. 2023-2024 წლებში, ამავე კამპანიის ფარგლებში, შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლებმა საინფორმაციო ხასიათის შეხვედრები გამართეს ქ. თბილისის სხვადასხვა საჯარო სკოლაში 2 000-მდე უფროსკლასელთან.

2024 წლის 30 ივლისს, ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ გამართა საინფორმაციო შეხვედრა საქართველოს სტუდენტური პარლამენტის წარმომადგენლებთან. შეხვედრის ფარგლებში ყურადღება გამახვილდა ისეთ საკითხებზე, როგორიცაა: ადამიანით ვაჭრობის წინააღმდეგ სახელმწიფო პოლიტიკა, მსხვერპლთა დაცვა, დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის მიზნებისთვის საერთაშორისო და ადგილობრივი თანამშრომლობა. შეხვედრას, ჯამში, 33 სტუდენტი დაესწრო.

ამასთან, 2024 წლის 18 ოქტომბერს, ადამიანით ვაჭრობის წინააღმდეგ ბრძოლის ევროპულ დღესთან დაკავშირებით, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ორგანიზებით ფილმის ჩვენება და დისკუსია გაიმართა. დისკუსიაში მონაწილეობა მიიღეს იუსტიციის სამინისტროს ახალგაზრდულ კლუბ „YOUTHTITIA“-ს წევრებმა, სამთავრობო უწყებებში დასაქმებულმა სტაჟიორებმა და უნივერისტეტის სტუდენტებმა.

აქტივობა 1.1.5 უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების დონეზე ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) თემაზე იმიტირებული სასამართლო პროცესის გამართვა

ინდიკატორი: ჩატარებული იმიტირებული პროცესი (2)

სტატუსი: სრულად შესრულდა

2023 წლის 13-15 დეკემბერს იუსტიციის სამინისტროს, სსიპ „საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრის“, მიგრაციის პოლიტიკის განვითარების საერთაშორისო ცენტრისა (ICMPD) და ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებების განმახორციელებელი საუწყებათაშორისო საკოორდინაციო საბჭოს თანამშრომლობითა და ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) თემაზე გიორგი მარგიანის სახელობის იმიტირებული სასამართლო პროცესი გაიმართა. 2023 წელს პროექტში სხვადასხვა უნივერსიტეტის 110-მდე სტუდენტი მონაწილეობდა, ფინალურ ეტაპზე კი, 27 სტუდენტი (8 გუნდი) გადავიდა.

ასავე, 2024 წლის 7-13 ნოემბერს ზემოხსენებული პროექტის ფარგლებში ჩატარდა თემატური ტრენინგები პროექტში რეგისტრირებული სტუდენტებისათვის, რომლებშიც მონაწილეობა მიიღო 118-მა სტუდენტმა. აღნიშნული ღონისძიების ფინალური ეტაპი 2025 წლის 17-19 ივნისს გაიმართა და მასში 8 საუკეთესო გუნდი მონაწილეობდა.

პროექტი 2014 წლიდან ტარდება და მიზნად ისახავს, ტრეფიკინგის პრევენციას, სტუდენტების ცნობიერების ამაღლებასა და ცოდნის გაღრმავებას ტრეფიკინგის დანაშაულის, მასთან ბრძოლის მიმართულებით სახელმწიფოს პოლიტიკის, ტრეფიკინგის მსხვერპლებისთვის/დაზარალებულებისთვის არსებული სერვისების, დანაშაულის გამოძიებისა და სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელების სპეციფიკის თაობაზე.

აქტივობა 1.1.6 ტრეფიკინგის რისკების შესახებ საინფორმაციო შეხვედრების ჩატარება იძულებით გადაადგილებულ პირებთან, თავშესაფრის მაძიებლებთან, ეთნიკურ/ეროვნულ უმცირესობებთან, მათ შორის, მიუსაფარ ბავშვებთან

ინდიკატორი: მონაწილეთა რაოდენობა თითოეული სამიზნე ჯგუფისთვის (მინ. 100)

სტატუსი: ნაწილობრივ შესრულდა

აქტივობით განსაზღვრულ სამიზნე ჯგუფებთან გაიმართა შემდეგი საინფორმაციო შეხვედრები:

- 2023 წლის 10 მაისს „მარნეულის დემოკრატიული ჩართულობის ცენტრის“ ოფისში გაიმართა შეხვედრა ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენლებთან – მიეწოდათ ინფორმაცია ტრეფიკინგის, კრიზისული ცენტრის დანიშნულების და არსებული სახელმწიფო სერვისების შესახებ. შეხვედრას ესწრებოდნენ ქ. მარნეულის მე-2, მე-6, მე-7 და რომან ზოიძის სახელობის შულავრის №1 საჯარო სკოლის მოსწავლეები და პედაგოგები (30 მონაწილე);
- 2023 წელს, საკოორდინაციო საბჭოს ფარგლებში, ზრუნვის სააგენტოს ორგანიზებით, მათ შორის, ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ ტერიტორიულ ერთეულებში (მარნეული, ხულო და სხვ.) გაიმართა 16 შეხვედრა, რომელთაც, ჯამში, დაესწრო 250 ადამიანი. მოცემული შეხვედრებიდან 3 შეხვედრის სამიზნე აუდიტორია კონკრეტულად ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლები იყვნენ და მათში მონაწილეობა მიიღო, ჯამში, 46-მა ადამიანმა;
- 2024 წლის 30 ივლისს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ადამიანის უფლებების დაცვის დეპარტამენტის, მიგრაციისა და ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტების წარმომადგენლებმა, ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლასთან დაკავშირებით, ტრეფიკინგის საკითხებზე თავშესაფრის მაძიებელთა მიმღები ცენტრის ბენეფიციარებთან საინფორმაციო შეხვედრა გამართეს. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებმა ადამიანით ვაჭრობის მიმართულებით საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის, ასევე, აღნიშნული დანაშაულების წინააღმდეგ ბრძოლის პრაქტიკის, მიდგომებისა და მსხვერპლთა დაცვის სახელმწიფო სერვისების შესახებ ისაუბრეს. სამინისტროს წარმომადგენლების მხრიდან ყურადღება გამახვილდა ამ კატეგორიის დანაშაულების გამოვლენის, მომართვიანობისა და დანაშაულის პრევენციის მნიშვნელობაზე;
- 2024 წელს საქართველოს მასშტაბით ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებების განმახორციელებელი საუწყებათაშორისო საკოორდინაციო საბჭოს წევრი უწყებების ორგანიზებით გაიმართა 41 საინფორმაციო შეხვედრა, რომელთაც, ჯამში, დაესწრო 1 100-მდე ადამიანი. აღნიშნული შეხვედრებიდან 5 უშუალოდ ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში (ქვემო ქართლი, შიდა ქართლი, კახეთი) გაიმართა და, ჯამში, 112 ადამიანი დაესწრო.

აქტივობა 1.1.7 იძულებითი შრომისა და შრომითი ექსპლუატაციის რისკების შესახებ საინფორმაციო შეხვედრების ჩატარება კერძო სექტორში მომუშავე დამსაქმებელთა და დასაქმებულთათვის

ინდიკატორი: მონაწილეთა რაოდენობა (მინ. 500)

სტატუსი: სრულად შესრულდა

სსიპ „შრომის ინსპექციის სამსახური დამსაქმებლებსა და დასაქმებულებში შრომითი ნორმების, მათ შორის, იძულებითი შრომის და შრომითი ექსპლუატაციის პრევენციული ღონისძიებების შესახებ ცნობიერების ამაღლების მიმართულებით საერთაშორისო თუ ადგილობრივი ორგანიზაციების დახმარებით, ასევე, საკუთარი რესურსებით, აქტიურად მუშაობდა და ამ მიზნით 2023 წლის საანგარიშო პერიოდში გამართა 35 საინფორმაციო შეხვედრა, რომლებშიც მთლიანობაში მონაწილეობა მიიღო 1 7000-ზე მეტმა მონაწილემ, 2024 წელს კი – 10 საინფორმაციო შეხვედრა, რომელთაც 360-მდე პირი დაესწრო.

გარდა ამისა, შრომის ინსპექციის სამსახური, „იძულებითი შრომისა და შრომითი ექსპლუატაციის პრევენციის და მათზე რეაგირების მიზნით სახელმწიფო ზედამხედველობის განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 7 მარტის №112 დადგენილების საფუძველზე, ახორციელებს გეგმურ და არაგეგმურ მონიტორინგს, რომელთა ფარგლებშიც 2023 წელს 303 ინსპექტირება განხორციელდა 303 ობიექტზე. ზედამხედველობისას შრომის ინსპექტორები გაესაუბრნენ 640-ზე მეტ პირს (დასაქმებულები, დამსაქმებლები), რაც, ასევე, მოიცავდა მათი ცნობიერების ამაღლებას უშუალოდ იძულებითი შრომისა და შრომითი ექსპლუატაციის საკითხებთან დაკავშირებით.

აქტივობა 1.1.8 ტრეფიკინგის დანაშაულის პრევენციისა და უწყებების მუშაობის გამჭვირვალობის უზრუნველსაყოფად ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ ინფორმაციის მუდმივად განახლება ვებგვერდებზე

ინდიკატორი: განახლებული ინფორმაცია

სტატუსი: სრულად შესრულდა

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ვებგვერდზე ხელმისაწვდომია დეტალური ინფორმაცია ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებების განმახორციელებელი საუწყებათაშორისო საკოორდინაციო საბჭოს საქმიანობის, ეროვნული და საერთაშორისო კანონმდებლობის, ეროვნული რეფერალური მექანიზმის, მუდმივმოქმედი ჯგუფის, სამოქმედო გეგმებისა და მათი შესრულების ანგარიშებისა და სტატისტიკური მონაცემების შესახებ. ვებგვერდი მუდმივად განახლებადია.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ოფიციალურ პლატფორმებსა და სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის Facebook- გვერდზე რეგულარულად ქვეყნდება ინფორმაცია ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგი) წინააღმდეგ ბრძოლის მიმართულებით განხორციელებული აქტივობებისა და მიღწეული შედეგების შესახებ, მათ შორის, ვიდეომასალა, აღნიშნულ დანაშაულზე დაკავებული პირების შესახებ.

საანგარიშო პერიოდში საქართველოს პროკურატურის ვებგვერდზე პერიოდულად საჯაროვდებოდა ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლისა და აღნიშნულ დანაშაულზე სისხლისსამართლებრივი დევნისა და პირის მსჯავრდების შესახებ ინფორმაცია.

ამასთან, საქართველოს პროკურატურის ვებგვერდს დაემატა ,,ადამიანის უფლებების“ სპეციალური ტაბი, სადაც, ასევ,ე თემატურად განთავსდა დამოუკიდებელი ტაბი „ადამიანით ვაჭრობა (ტრეფიკინგი)“ და საქართველოს გენერალური პროკურატურის ადამიანის უფლებათა დაცვის დეპარტამენტის მიერ ტრეფიკინგის დანაშაულის თემაზე მომზადებული ანალიზები წლების მიხედვით.

აღსანიშნავია, რომ 2023 წლის საანგარიშო პერიოდში სსიპ „შრომის ინსპექციის სამსახურის“ მიერ სსიპ „ინფორმაციული ტექნოლოგიების სააგენტოს“ მხარდაჭერით შეიქმნა სამსახურის ოფიციალური ვებგვერდი (lio.moh.gov.ge), სადაც პროაქტიული რეჟიმით ქვეყნდება სამსახურის საქმიანობასთან დაკავშირებული ინფორმაცია. ასევე, სამსახური აქტიურად იყენებს სოციალურ ქსელებს დაინტერესებული პირების ინფორმირებისა თუ ცნობიერების ამაღლების მიზნით.

საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობისა და საკონსულო დაწესებულებების ყველა ვებგვერდზე საკონსულო განყოფილების სექციაში წარმოდგენილია და მუდმივი განახლების რეჟიმშია ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ ინფორმაცია. ამ ფუნქციით უშუალოდ დაკავებულია საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს პრესისა და ინფორმაციის დეპარტამენტი. საქართველოს მისიების სია ხელმისაწვდომია საგარეო საქმეთა სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე.

ზრუნვის სააგენტოს ფარგლებში ფუნქციონირებს ვებგვერდი, სადაც განთავსებულია ინფორმაცია ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) შესახებ კანონმდებლობის, სააგენტოს სერვისებისა და მის მიერ განხორციელებული აქტივობების შესახებ. სააგენტოს აქვს საკუთარი გვერდი სოციალურ ქსელში (facebook) სახელწოდებით „სახელმწიფო ზრუნვის სააგენტო – State Care Agency“, სადაც აქტიურად განიხილება ადამიანით ვაჭრობასთან (ტრეფიკინგთან) დაკავშირებული საკითხები.

აქტივობა 1.1.9 ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) თემაზე საქმეებზე ადამიანის უფლებათა ევროპულის სასამართლოს მიერ განხილული საქმეების კვლევითი დოკუმენტების შემუშავება

ინდიკატორი: შემუშავებულია კვლევითი დოკუმენტი

სტატუსი: არ შესრულდა

საანგარიშო პერიოდში აქტივობა არ განხორციელებულა.

აქტივობა 1.1.10 ყოველწლიურად ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის ევროპული და საერთაშორისო დღის აღნიშვნა (18 ოქტომბერი, 30 ივლისი)

ინდიკატორი: განხორციელებული ღონისძიება (4)

სტატუსი: სრულად შესრულდა

2023 წლის 30 ივლისს და 18 ოქტომბერს, ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის ევროპული და საერთაშორისო დღეებთან დაკავშირებით, საკოორდინაციო საბჭოს წევრი უწყებების ორგანიზებით გაიმართა 9 საინფორმაციო შეხვედრა, რომელთაც 200-მდე მსმენელი დაესწრო.

ასევე, ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის მსოფლიო დღესთან დაკავშირებით, 2023 წლის 30 ივლისიდან საქართველოს მასშტაბით მოქმედი იუსტიციის სახლების ფილიალებში გავრცელდა საინფორმაციო ბარათები ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგი) დანაშაულის არსის, მასთან დაკავშირებული რისკების, დანაშაულის პრევენციისა და მისგან თავის დაცვის მექანიზმების შესახებ.

როგორც უკვე ვახსენეთ, 2024 წლის 30 ივლისს, ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, სტუდია „იუსტიციის“ სოციალურ ქსელებში გამოქვეყნდა სიუჟეტი ტრეფიკინგის საფრთხეების, მისგან თავის დაცვის საშუალებებისა და სახელმწიფო პოლიტიკის შესახებ, რომლის ფარგლებში პასუხი გაეცა საზოგადოებისთვის მნიშვნელოვან და საინტერესო კითხვებს ადამიანით ვაჭრობის თაობაზე. ამასთან, იმავე დღეს გაიმართა შეხვედრა/დისკუსია საქართველოს ახალგაზრდული პარლამენტის წარმომადგენლებთან.

2024 წლის 18 ოქტომბერს, ადამიანით ვაჭრობის წინააღმდეგ ბრძოლის ევროპულ დღესთან დაკავშირებით, ფილმის ჩვენება და დისკუსია გაიმართა. დისკუსიაში მონაწილეობა მიიღეს იუსტიციის სამინისტროს ახალგაზრდულ კლუბ „YOUTHTITIA“-ს წევრებმა, სამთავრობო უწყებებში დასაქმებულმა სტაჟიორებმა და უნივერისტეტის სტუდენტებმა.

აქტივობა 1.1.11 საინფორმაციო მასალის გავრცელება იუსტიციის სახლებსა და საზოგადოებრივ ცენტრებში, სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს ტერიტორიულ სამსახურებში, საქართველოს დიპლომატიურ წარმომადგენლობებსა და საკონსულო დაწესებულებებში, დიასპორულ ორგანიზაციებში, ტურიზმის საინფორმაციო ცენტრებში, სასაზღვრო გამტარ პუნქტებში, იძულებით გადაადგილებულ პირთა და თავშესაფრის მაძიებელთა მიმღებ ცენტრებსა და სხვა მაღალი რისკის შემცველ ადგილებსა და რეგიონებში

ინდიკატორი: გავრცელებული ბროშურების რაოდენობა სამიზნე ჯგუფების მიხედვით (ჯამში, მინ. 5 000)

სტატუსი: სრულად შესრულდა

2023-2024 წლებში ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის მოქმედი ტურისტული საინფორმაციო ცენტრების მეშვეობით ვრცელდებოდა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სსიპ „სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს“ მიერ 2021 წელს გადმოცემული 3500 ერთეული და 2023 წელს გადმოცემული 800 ერთეული ტრეფიკინგის პრევენციისკენ მიმართული ექვსენოვანი საინფორმაციო ბროშურა.

ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგი) წინააღმდეგ ბრძოლის მსოფლიო დღესთან დაკავშირებით, 2023 წლის 30 ივლისიდან საქართველოს მასშტაბით მოქმედი იუსტიციის სახლების ფილიალებში გავრცელდა საინფორმაციო ბარათები ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგი) დანაშაულის არსის, მასთან დაკავშირებული რისკების, დანაშაულის პრევენციისა და მისგან თავის დაცვის მექანიზმების შესახებ.

საანგარიშო პერიოდში შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ საინფორმაციო მასალა გავრცელდა შემდეგი აქტივობების ფარგლებში:

- 2023 წელს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიგრაციის დეპარტამენტს ტრეფიკინგის შესახებ 2000 (ორი ათასი) ცალი საინფორმაციო ბროშურა (ქართულ, ინგლისურ, რუსულ და თურქულ ენებზე) გადაეცა;
- 2023 წლის განმავლობაში სასაზღვრო გამტარ პუნქტებზე ტრეფიკინგის შესახებ განთავსებული 35000 ბუკლეტი სრულად დარიგდა;
- 2023 წლის განმავლობაში მოქალაქეებს ტრეფიკინგის საფრთხეებისა და მისგან თავის დაცვის საშუალებების შესახებ საინფორმაციო 2290 ცალი ბროშურა გადაეცათ;
- შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის მთავარი სამმართველოს ტრეფიკინგის და უკანონო მიგრაციის წინააღმდეგ ბრძოლის სამმართველოს თანამშრომლების მიერ ტრეფიკინგის ფაქტების იდენტიფიცირების მიზნით თბილისის საერთაშორისო აეროპორტში გამოიკითხა სხვადასხვა ქვეყნიდან დეპორტირებული 1908 საქართველოს მოქალაქე, რომლებსაც, ასევე, გადაეცათ საინფორმაციო ხასიათის ბროშურები;
- 2024 წელს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიგრაციის დეპარტამენტს გადაეცა ტრეფიკინგის შესახებ 500 (ხუთასი) ცალი საინფორმაციო ბროშურა (ქართულ, ინგლისურ და რუსულ ენებზე), რომლებიც საინფორმაციო სტენდებზე განთავსდა;
- 2024 წელს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის მთავარი სამმართველოს ტრეფიკინგისა და უკანონო მიგრაციის წინააღმდეგ ბრძოლის სამმართველოს თანამშრომლების მიერ ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგი) ფაქტების იდენტიფიცირების მიზნით თბილისის საერთაშორისო აეროპორტში გამოიკითხა სხვადასხვა ქვეყნიდან დეპორტირებული 2032 საქართველოს მოქალაქე, რომლებსაც, ასევე, გადაეცათ საინფორმაციო შინაარსის ბროშურები.

აღსანიშნავია, რომ დიპლომატიურ წარმომადგენლობებსა და საკონსულო დაწესებულებებში ტრეფიკინგის საკითხზე კვარტალური ანგარიშებით რეგულარულად მოწმდება როგორც სიტუაცია მომართვიანობის მხრივ, ისე საინფორმაციო მასალის არსებობა, რაზეც აუცილებლობის შემთხვევაში ხორციელდება მყისიერი რეაგირება. რამდენიმე ასეული საინფორმაციო ბროშურა ტრეფიკინგის დანაშაულზე გაიგზავნა საჭიროების მქონე საკონსულო სამსახურებში.

აქტივობა 1.1.12 ტრეფიკინგის დანაშაულის პრევენციის მიზნით მედიის წარმომადგენლების ცნობიერების ამაღლება ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) თემაზე

ინდიკატორი: მონაწილეთა რაოდენობა (მინ. 25)

სტატუსი: არ შესრულდა

2023-2024 წლებში აქტივობა არ განხორციელებულა.

ამოცანა 1.2 ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაულის გამოვლენის მექანიზმების დახვეწა და ეფექტიანი სისხლისსამართლებრივი დევნის წარმოება

ინდიკატორი: ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაულზე დაწყებული გამოძიებებიდან იმ საქმეების პროცენტული წილი, რომლებზეც დაიწყო სისხლისსამართლებრივი დევნა

სტატუსი: სრულად შესრულდა

2023-2024 წლებში ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის), ჯამში, 30 სავარაუდო შემთხვევაზე დაიწყო გამოძიება, საიდანაც სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო 10 საქმეზე, რაც საერთო საქმეების, დაახლოებით, 33.3%-ს შეადგენს.

აქტივობა 1.2.1 იძულებითი შრომისა და შრომითი ექსპლუატაციის შემთხვევების გამოვლენის მიზნით შრომის ინსპექციის სამსახურის თანამშრომელთათვის სასწავლო ვიზიტის ორგანიზება

ინდიკატორი: განხორციელებულია სასწავლო ვიზიტი

სტატუსი: ნაწილობრივ შესრულდა

საანგარიშო პერიოდში იძულებითი შრომისა და შრომითი ექსპლუატაციის შემთხვევების გამოვლენის მიზნით შრომის ინსპექციის სამსახურის თანამშრომელთათვის ერთიანი სასწავლო ვიზიტი არ განხორციელებულა. მიუხედავად აღნიშნულისა, ევროპის საბჭოსა და ევროპის კავშირის მიერ ორგანიზებული ღონისძიებების ფარგლებში, შრომის ინსპექციის სამსახურის წარმომადგენლებმა მონაწილეობა მიიღეს:

- 2022 წლის 11-12 აპრილს ქ. ვენაში ადამიანით ვაჭრობის დანაშაულის გამოვლენის თემაზე ტრენინგში;
- 2023 წლის 4-6 დეკემბერს ქ. ბუდაპეშტში გამართულ ტრენინგში თემაზე „შრომის ინსპექტორების როლი შრომითი ექსპლუატაციის შემთხვევებზე რეაგირება“.

აქტივობა 1.2.2 ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაულის ფინანსური ასპექტების შესახებ ტრენინგის განხორციელება შესაბამისი პერსონალისთვის

ინდიკატორი: გადამზადებული თანამშრომლების რაოდენობა (მინ. 25)

სტატუსი: ნაწილობრივ შესრულდა

2023 წლის 20-24 ნოემბერს გაიმართა ადამიანით ვაჭრობის თემაზე რიგით მეორე სიმულაციური ტრენინგი. პროექტი სახელწოდებით „ადამიანით ვაჭრობის წინააღმდეგ ბრძოლა: უწყებათაშორისი თანამშრომლობის მდგრადობა ეროვნული სიმულაციური ტრენინგის განხორციელების გზით“ საქართველოში იუსტიციის სამინისტროს ხელმძღვანელობით ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციისა (ეუთო) და საქართველოში შვეიცარიის საელჩოს ფინანსური მხარდაჭერით განხორციელდა. ტრენინგში, რომელიც მიზნად ისახავდა პროფესიონალების პრაქტიკული უნარ-ჩვევების ამაღლებას უწყებათაშორისი თანამშრომლობისა და მსხვერპლზე ორიენტირებული მიდგომის გზით, რაც, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს დანაშაულის დროულ გამოვლენას, დამნაშავეთა დასჯას და მსხვერპლთა საზოგადოებაში ეფექტიან ინტეგრაციას, მონაწილეობა მიიღო ფინანსთა სამინისტროს 6-მა წარმომადგენელმა.

აქტივობა 1.2.3 სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლებით დაკომპლექტებული შემოწმების მობილური ჯგუფებისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის პოლიციის დეპარტამენტის შემადგენლობაში მოქმედი სპეციალისტების ჯგუფის (Task Force) მიერ ტრეფიკინგის მიზნებისთვის მაღალ რისკს მიკუთვნებული ადგილების შემოწმება და დასაქმებულ პირთა გამოკითხვა ტრეფიკინგის ფაქტების გამოვლენის მიზნით

ინდიკატორი: შემოწმებული დაწესებულებების რაოდენობა (მინ. 100); გამოკითხულ პირთა რაოდენობა (მინ. 300).

სტატუსი: სრულად შესრულდა

2023 წელს სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლებით დაკომპლექტებული შემოწმების მობილური ჯგუფებისა და სპეციალისტების ჯგუფის (Task Force) მიერ ტრეფიკინგის მიზნებისთვის მაღალ რისკს მიკუთვნებული ადგილების შემოწმების და დასაქმებულ პირთა გამოკითხვა ტრეფიკინგის ფაქტების გამოვლენის მიზნით შემოწმდა 112 დაწესებულება (მობილური ჯგუფები – 103, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის პოლიციის დეპარტამენტი – 9) და გამოიკითხა მათში მომუშავე 431 პირი (მობილური ჯგუფები – 382, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის პოლიციის დეპარტამენტი – 49). ზემოხსენებული შემოწმების ფარგლებში მობილური ჯგუფისა და Task Force-ს წევრები აქტიურად არიგებდნენ საინფორმაციო ხასიათის ბროშურებს ტრეფიკინგის მსხვერპლის უფლებების და სახელმწიფოს მხრიდან შეთავაზებული სერვისების შესახებ.

2024 წელს მობილური ჯგუფებისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის პოლიციის დეპარტამენტის წარმომადგენლების მიერ შემოწმდა 55 დაწესებულება (მობილური ჯგუფები – 50, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის პოლიციის დეპარტამენტი – 5) და გამოიკითხა მათში მომუშავე 250 პირი (მობილური ჯგუფები – 236, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის პოლიციის დეპარტამენტი – 14).

აქტივობა 1.2.4 ტრეფიკინგის მსხვერპლთა ჩვენების არარსებობისას გამოძიებების დაწყება პროაქტიულად

ინდიკატორი: დაწყებული გამოძიებების საერთო რაოდენობიდან პროაქტიულად დაწყებული გამოძიებების რაოდენობა

სტატუსი: სრულად შესრულდა

2023 წელს ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) 17 სავარაუდო ფაქტიდან პროაქტიულად გამოძიება დაიწყო ტრეფიკინგის 9 სავარაუდო ფაქტზე, ხოლო, 2024 წელს დაწყებული გამოძიებების საერთო რაოდენობიდან (13) პროაქტიულად დაწყებული გამოძიებების რაოდენობა 12 იყო.

აქტივობა 1.2.5 შრომის ინსპექციის სამსახურსა და ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტს შორის თანამშრომლობა შრომითი ექსპლუატაციის ნიშნების გამოვლენის, რეფერირებისა და დროული რეაგირების მიზნით

ინდიკატორი: შრომის ინსპექციის სამსახურის მიერ შემოწმებულ დაწესებულებათა რაოდენობა (მინ. 300); შრომის ინსპექციის სამსახურის მომართვის საფუძველზე შრომითი ექსპლუატაციის ფაქტებზე დაწყებული გამოძიებების რაოდენობა

სტატუსი: სრულად შესრულდა

,,იძულებითი შრომისა და შრომითი ექსპლუატაციის პრევენციის და მათზე რეაგირების მიზნით სახელმწიფო ზედამხედველობის განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 7 მარტის №112 დადგენილების შესაბამისად, 2023 წელს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანებით (MOH 1 23 0000079) განისაზღვრა გეგმურად შესამოწმებელი 300 ობიექტი, რომელთაგანაც წლის განმავლობაში შემოწმდა 292 ობიექტი. ასევე, საანგარიშო პერიოდში შრომის ინსპექციის სამსახურის მიერ მოხდა 11 ობიექტზე არაგეგმური ინსპექტირება იძულებითი შრომის და შრომითი ექსპლუატაციის ფაქტებზე პრევენციის და მათზე რეაგირების მიზნით. განხორციელებული ზედამხედველობის ფარგლებში განხორციელდა 4 საქმის გადაგზავნა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში, საიდანაც გამოძიება დაიწყო ერთ საქმეზე.

იმავე აქტივობის ფარგლებში, 2024 წელს შრომის ინსპექციის სამსახურის მიერ გეგმურად შემოწმდა 300 ობიექტი, არაგეგმურად – 3. ზედამხედველობის შედეგად სსიპ „შრომის ინსპექციის სამსახურის“ მიერ ერთ ობიექტზე გამოვლენილ იქნა შრომითი ტრეფიკინგის სავარაუდო ფაქტი. შესაბამისად, საქმე რეფერირებულ იქნა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში.

აქტივობა 1.2.6 ყოველწლიურად ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაულის ახალი ტენდენციების, ასევე, მსხვერპლთა/დაზარალებულთა და დამნაშავეთა პროფილის შესწავლა და შეფასება არსებული საქმეების საფუძველზე

ინდიკატორი: მომზადებული ანალიზის დოკუმენტი

სტატუსი: სრულად შესრულდა

საანგარიშო პერიოდში საქართველოს გენერალური პროკურატურის ადამიანის უფლებათა დაცვის დეპარტამენტის პროკურორები ყოველდღიურად ახორციელებდნენ ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) საქმეების მონიტორინგს. დეპარტამენტის მიერ მომზადდა ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) 2023 და 2024 წლების სისხლის სამართლის საქმეთა ანალიზი. სისხლის სამართლის საქმეთა ანალიზი მოიცავს ისეთ მნიშვნელოვან ასპექტებს, როგორიცაა: სისხლის სამართალწარმოების გამოწვევები, ტენდენციები და სამომავლო გეგმები. აღნიშნული ანალიზების შედეგებიგასაჯაროვდა საქართველოს პროკურატურის ვებგვერდზე[1] და ხელმისაწვდომია ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის.

აქტივობა 1.2.7 პროკურორებისა და სტაჟიორ-პროკურორების გადამზადება და ახალი ტენდენციების გაცნობა ადამიანით ვაჭრობის საკითხებზე

ინდიკატორი: გადამზადებული პროკურორებისა და სტაჟიორ-პროკურორების რაოდენობა (30); ტრენინგის რაოდენობა (3)

[1] ხელმისაწვდომია: https://pog.gov.ge/human-trafficking

სტატუსი: სრულად შესრულდა

საანგარიშო პერიოდში განხორციელდა შემდეგი სასწავლო აქტივობები:

- ევროკავშირისა და მიგრაციის პოლიტიკის განვითარების საერთაშორისო ცენტრის (ICMPD) მიგრაციის პარტნიორობის მექანიზმის (MPF) მიერ დაფინანსებულ პროექტ „Prometheus"-ის II ფაზის ფარგლებში, ქალაქ თბილისში სამუშაო შეხვედრა და სემინარი გაიმართა. აღნიშნული სამუშაო შეხვედრის ფარგლებში, საქართველოს გენერალური პროკურატურისა და სხვა თემატური უწყებების წარმომადგენლებმა უცხოელ კოლეგებთან ერთად მიგრაციული რისკების ანალიზისა და გამოძიების ტექნიკების ის ასპექტები განიხილეს, რომლებიც მიზნად ისახავს მიგრანტების უკანონოდ გადაყვანისა და ადამიანებით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) ორგანიზებულ დანაშაულებრივ ქსელებთან ბრძოლას. სამუშაო შეხვედრის გარდა, გაიმართა სამუშაო ჯგუფების სემინარი, რომლის ფარგლებში სხვა მონაწილე უწყებებთან ერთად საქართველოს გენერალური პროკურატურის წარმომადგენელმა გადამზადება საზღვარზე მიგრანტის უკანონოდ გადაყვანის და ტრეფიკინგის გამოძიების მეთოდების შესახებ გაიარა. ჯამში, ზემოაღნიშნული აქტივობების ფარგლებში გადამზადება 1-მა პროკურორმა გაიარა;
- ევროკავშირის მიერ დაფინანსებულ პროექტ „Prometheus"-ის II ფაზის ფარგლებში, განხორციელდა ტრენინგი თემაზე „გამოძიების მეთოდები". ტრენინგი მოიცავდა მიგრანტთა საზღვარზე უკანონო გადაყვანის საქმეების გამოძიებასთან დაკავშირებული მეთოდოლოგიის, სიახლეების, შესაბამისი პროტოკოლის, ინტერვიუირების მეთოდების, ასევე, საერთაშორისო თანამშრომლობის მნიშვნელობის საკითხებს. ტრენინგში 1 პროკურორი მონაწილეობდა;
- საანგარიშო პერიოდში, აშშ-ის საელჩოს ანტინარკოტიკულ და სამართალდამცავ ორგანოებთან ურთიერთობის საერთაშორისო ბიუროს (INL – International Narcotics and Law Enforcement Affairs, INL) ორგანიზებითა და ფინანსური მხარდაჭერით, ადგილობრივი უწყებებისა და სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენელი სამართალდამცავი ქალებისთვის ყოველწლიური საერთაშორისო კონფერენცია განხორციელდა. აღნიშნულ საერთაშორისო კონფერენციას საქართველოს გენერალური პროკურატურის შესაბამისი დანაყოფებისა და ტერიტორიული ორგანოების 8 წარმომადგენელი (2 მენეჯერი და 6 პროკურორი) ესწრებოდა;
- აშშ-ის საელჩოს ანტინარკოტიკული და სამართალდამცავ ორგანოებთან თანამშრომლობის ბიუროს (INL) მხარდაჭერით, ქალაქ ჩიკაგოში საერთაშორისო კონფერენცია განხორციელდა თემაზე „სქესობრივი ძალადობა, ოჯახში ძალადობა და ცვლილებებისთვის ბრძოლა". აღნიშნული საერთაშორისო კონფერენციის ფარგლებში, სხვა მნიშვნელოვან თემებთან ერთად, შემდეგი საკითხები განიხილებოდა: მსხვერპლზე ორიენტირებული მიდგომები პროფესიონალებისთვის ტრეფიკინგის წინააღმდეგ საბრძოლველად; ტრეფიკინგის მსხვერპლთა ხედვის შეცვლა სასამართლო სისტემაში; ტრეფიკინგის სპეციფიკური სამედიცინო სასამართლო ექსპერტიზის მტკიცებულებათა სტანდარტი; სექსუალური ექსპლუატაციის მსხვერპლთა დანაშაულებრივ ქმედებებში ჩართვის რისკები და სხვა. საერთაშორისო კონფერენციას 1 პროკურორი დაესწრო;

- ევროკავშირის მიერ დაფინანსებულ პროექტ „Prometheus“-ის II ფაზის ფარგლებში, მიგრანტთა საზღვარზე უკანონო გადაყვანისა და ადამიანით ვაჭრობის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებზე სამუშაო ჯგუფის მეორე შეხვედრა განხორციელდა. აღნიშნული სამუშაო სემინარი მულტიუწყებრივ ფორმატში ჩატარდა და ძირითადი თემა მოცემულ საკითხებზე გამოძიების მეთოდები და სამომავლო თანამშრომლობის პერსპექტივა იყო. სამუშაო სემინარში 1 პროკურორი (მენეჯერი) მონაწილეობდა;
- ევროპის საბჭოს პროექტის – „ბავშვზე მორგებული მართლმსაჯულების უზრუნველყოფა საქართველოში: ბავშვთა დაცვა და პრევენცია ძალადობისგან, მათ შორის ციფრულ გარემოში“ – ფარგლებში განხორციელდა ტრენერთა ტრენინგი თემაზე „ბავშვთა ონლაინ სექსუალური ექსპლუატაცია და ძალადობა (OCSEA)“. ტრენინგის შედეგად 2 პროკურორი გადამზადდა;
- ევროპის საბჭოს პროექტის „ბავშვზე მორგებული მართლმსაჯულების უზრუნველყოფა საქართველოში: ბავშვთა დაცვა და პრევენცია ძალადობისგან, მათ შორის ციფრულ გარემოში“ ფარგლებში, ტრენინგი განხორციელდა თემაზე „ბავშვთა ონლაინ სექსუალური ექსპლუატაცია და ძალადობა (OCSEA)“. ტრენინგის შედეგად 8 პროკურორი, მათ შორის, 1 მენეჯერი გადამზადდა

- ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციისა (ეუთო) და საქართველოში შვეიცარიის საელჩოს ორგანიზებით ეროვნული სიმულაციური ტრენინგი განხორციელდა თემაზე „ადამიანით ვაჭრობის წინააღმდეგ ბრძოლა: უწყებათაშორისი თანამშრომლობის მდგრადობა ეროვნული სიმულაციური ტრენინგის განხორციელების გზით“. ეროვნული სიმულაციური ტრენინგის შედეგად 4-მა პროკურორმა გაიუმჯობესა როგორც თეორიული ცოდნა, ისე პრაქტიკული უნარ-ჩვევები;
- ევროკავშირისა და მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციასთან (IOM) თანამშრომლობით ტრენინგი განხორციელდა თემაზე „ციფრული პლატფორმების და სოციალური მედიის მეშვეობით ბავშვების ტრეფიკინგის მიზნებისთვის გადაბირება“. ტრენინგის შედეგად 7 პროკურორი გადამზადდა;
- გაერო-ს ნარკოტიკებისა და დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ოფისის (UNODC) ორგანიზებით ტრენინგი განხორციელდა თემაზე „ტრეფიკინგის მსხვერპლთა იდენტიფიკაცია და უწყებათაშორისი თანამშრომლობის როლი გამოძიების პროცესში“. ტრენინგი მიზნად ისახავდა დაინტერესებული მხარეების შესაძლებლობის გაუმჯობესებას ტრეფიკინგის პოტენციური მსხვერპლთა იდენტიფიცირების კუთხით და მათ შორის კომუნიკაციისა და თანამშრომლობის გაღრმავებას. ტრენინგის შედეგად 9 პროკურორი გადამზადდა;
- 2024 წლის 24-25 და 26-27 ივნისს, იუსტიციის სამინისტროს, როგორც ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღდეგ მიმართული ღონისძიებების განმახორციელებელი საუწყებათაშორისო საკოორდინაციო საბჭოს, ორგანიზებით, ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის ფინანსური მხარდაჭერით ჩატარდა ტრენინგები თემაზე „Trauma-Informed“, „Multi-Disciplinary Responses to

Trafficking in Perosns“. ტრენინგებში მონაწილეობა მიიღო საქართველოს პროკურატურის 16-მა წარმომადგენელმა;

- 2024 წლის 17-19 ივლისს ტრეფიკინგთან ბრძოლის უწყებათაშორისი საბჭოს ორგანიზებითა და მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის (IOM) მხარდაჭერით ჩატარდა ტრენინგი ადამიანით ვაჭრობის დანაშაულის გამოძიების პროცესში მსხვერპლზე ორიენტირებულ მიდგომაზე. ტრენინგში მონაწილეობა მიიღო საქართველოს პროკურატურის 8 წარმომადგენელმა.

აქტივობა 1.2.8 მოწმეთა და დაზარალებულთა კოორდინატორების გადამზადება ტრეფიკინგის სისხლის სამართალწარმოებაში ეფექტიანად ჩართვის მიზნით

ინდიკატორი: გადამზადებული კოორდინატორების რაოდენობა (მინ. 15); ტრენინგის რაოდენობა (მინ. 1)

სტატუსი: სრულად შესრულდა

2023-2024 წლებში ტრეფიკინგის საქმეებზე სისხლის სამართალწარმოებაში ეფექტიანად ჩართვის მიზნით გადამზადება შინაგან საქმეთა სამინისტროსა და საქართველოს გენერალური პროკურატურის მოწმეთა და დაზარალებულთა 16-მა კოორდინატორმა გაიარა. კერძოდ:

- 2024 წლის 24-25 და 26-27 ივნისს ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის ფინანსური მხარდაჭერით ჩატარებულ ტრენინგებში თემაზე „Trauma-Informed“, „Multi-Disciplinary Responses to Trafficking in Perosns“ მონაწილეობა მიიღო შსს-სა და პროკურატურის 10-მა მოწმეთა და დაზარალებულთა კოორდინატორმა;

- 2024 წლის 17-19 ივლისს მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის (IOM) მხარდაჭერით ჩატარებულ ტრენინგში ადამიანით ვაჭრობის დანაშაულის გამოძიების პროცესში მსხვერპლზე ორიენტირებულ მიდგომაზე მონაწილეობა მიიღო შსს-სა და პროკურატურის მოწმეთა და დაზარალებულთა 6-მა კოორდინატორმა.

აქტივობა 1.2.9 სასაზღვრო გამტარ პუნქტებში მომუშავე პერსონალის გადამზადება ტრეფიკინგის მსხვერპლთა/პოტენციურ მსხვერპლთა და დამნაშავეთა გამოვლენის მიზნით

ინდიკატორი: გადამზადებული პერსონალის რაოდენობა (მინ.15); ტრენინგის რაოდენობა (მინ. 1)

სტატუსი: სრულად შესრულდა

შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიაში მუდმივად მიმდინარეობდა მსმენელების მომზადება/გადამზადება ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა ამოცნობისა და იდენტიფიცირების საკითხებზე. აღნიშნული თემა გათვალისწინებულია მესაზღვრე-კონტროლიორის კვალიფიკაციის მიმნიჭებელ საგანმანათლებლო კურსსა და საქართველოს სასაზღვრო პოლიციის სახმელეთო საზღვრის დაცვის დეპარტამენტის მესაზღვრეთა მომზადების სპეციალურ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში.

აღნიშნული მიმართულებით მომზადება/გადამზადების კურსებს გადიან შინაგან საქმეთა სამინისტროს უფლებამოსილი პირები, კერძოდ, პატრულ-ინსპექტორები (მესაზღვრე-კონტროლიორები) და სასაზღვრო პოლიციის სახმელეთო საზღვრის დაცვის დეპარტამენტის მესაზღვრეები.

2023-2024 წლებში შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიაში მესაზღვრე-კონტროლიორის კვალიფიკაციის მიმნიჭებელი საგანმანათლებლო კურსის ფარგლებში, 8 ჯგუფის 162 მსმენელი გადამზადდა.

ამასთან, 2023 წლის 24 მარტს ეუთო-ს საზღვრის უსაფრთხოებისა და მართვის განყოფილების (BSMU) ორგანიზებით გაიმართა ონლაინ ვებინარი თემაზე: „ადამიანით ვაჭრობის იდენტიფიკაციის გენდერული ასპექტები სასაზღვრო გამშვებ პუნქტებზე“. აღნიშნულ აქტივობაში შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის 1 თანამშრომელი მონაწილეობდა.

აქტივობა 1.2.10 საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის გამომძიებლების, საპატრულო პოლიციისა და კრიმინალური პოლიციის ტერიტორიული დანაყოფების თანამშრომლების გადამზადება და მათთვის ახალი ტენდენციების გაცნობა ტრეფიკინგის საქმეების გამოძიებისა და მსხვერპლთან/დაზარალებულთან მუშაობის გაუმჯობესების მიზნით

ინდიკატორი: გადამზადებული თანამშრომლების რაოდენობა (მინ. 50); ტრენინგების რაოდენობა (3)

სტატუსი: სრულად შესრულდა

საანგარიშო პერიოდში შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებმა მონაწილეობა მიიღეს ტრანსნაციონალური დანაშულის მათ შორის ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგი) თემატიკაზე გამართულ შემდეგ ტრენინგებში:

- 2023 წელს სსიპ „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს პოლიციის აკადემიამ“ შეიმუშავა ელექტრონული კურსი „ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლა", რომლის მიზანია საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის სასაზღვრო-საიმიგრაციო კონტროლის მთავარი სამმართველოს სასაზღვრო გამტარი პუნქტების მესაზღვრე-კონტროლიორთა, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიგრაციის დეპარტამენტის თანამშრომელთა, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის გამომძიებლების, საპატრულო პოლიციის, ტერიტორიული დანაყოფების თანამშრომლებისა და საქვეუწყებო დაწესებულება – საქართველოს სასაზღვრო პოლიციის პირადი შემადგენლობის გადამზადება ტრეფიკინგის საკითხებში, მათთვის ახალი ტენდენციების გაცნობა, ადამიანებით ვაჭრობის საქმეების გამოძიების, მსხვერპლთა/დაზარალებულთა იდენტიფიცირებისა და მათთან მუშაობის გაუმჯობესების კუთხით. ზემოაღნიშნულ ელექტრონულ კურსზე, 2024 წლის განმავლობაში, მომზადება გაიარა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სხვადასხვა დანაყოფის 1 194-მა მსმენელმა (31 მიღება);

- 2023 წლის 16-17 იანვარს ქ. ჰააგაში, ნიდერლანდების სამეფოში, ბელგიის, საფრანგეთისა და აშშ-ის ორგანიზებით, ტრეფიკინგის საქმეების გამოძიებისას პარალელური ფინანსური გამოძიებისა და ქონების ამოღების (7th multidisciplinary EMPACT meeting on Financial Investigations & Asset Recovery) საკითხებზე რიგით მე-7 მულტიდისციპლინური შეხვედრა გაიმართა, რომელსაც ესწრებოდა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 1 თანამშრომელი;
- 2024 წლის 17 იანვარს ონლაინ ფორმატში ევროპის მიგრაციულ საკითხებთან დაკავშირებული საორგანიზაციო კომიტეტის შეხვედრა გაიმართა. შეხვედრა ჩატარდა ევროპის მულტიდისციპლინური პლატფორმა ემპაქტის ოპერაციული აქტივობა 5.3-ის ფარგლებში, რომლის მიზანი ევროკავშირის ტერიტორიაზე არალეგალური მიგრაციის წინააღმდეგ ბრძოლა, კერძოდ, რეალურ დროში დოკუმენტების გადამოწმების შედეგად არალეგალური მიგრანტებისა და ამ დანაშაულის ხელშემწყობი/განმახორციელებელი პირების გამოვლენაა. შეხვედრას ესწრებოდა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 1 თანამშრომელი;
- 2024 წლის 18 იანვარს ქ. ჰააგაში, ნიდერლანდების სამეფოში, Europol-ის მხარდაჭერით, ბავშვთა სექსუალური ექსპლუატაციის საკითხებთან დაკავშირებით შეხვედრა გაიმართა, რომელსაც ესწრებოდა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 1 თანამშრომელი;
- 2024 წლის 23-24 იანვარს Europol-ის ფინანსური მხარდაჭერით, Europol-ში საფრანგეთის ეროვნული საკონტაქტო უწყების მიერ მოწოდებული ინფორმაციით, პოლონეთის ქალაქ კრაკოვში ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგი) თემატიკაზე ექსპერტების შეხვედრა გაიმართა (Expert meeting OA 8.7), რომელსაც ესწრებოდა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 1 თანამშრომელი;
- 2024 წლის 8 თებერვალს Europol-ის სათავო ოფისში (ქ. ჰააგა, ნიდერლანდების სამეფო), მიგრანტების არალეგალურად გადაყვანის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებზე შეხვედრა გაიმართა, რომლის მიზანს აღნიშნული პრობლემის გადასაჭრელად 2024/2025 წლებისთვის ევროპული პოლიტიკის განსაზღვრა წარმოადგენდა. შეხვედრას ესწრებოდა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 1 თანამშრომელი;
- 2024 წლის 13-14 თებერვალს Europol-ის მხარდაჭერით, უნგრეთში, ქ. ბუდაპეშტში, პრაღის პროცესის პირველი თემატური კომპონენტის ფარგლებში, ჩატარდა სამუშაო შეხვედრა უკანონო მიგრაციისა და მიგრანტთა საზღვარზე უკანონო გადაყვანასთან ბრძოლისა და პრევენციის საკითხებზე. შეხვედრას ესწრებოდა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 1 თანამშრომელი;
- 2024 წლის 20-21 თებერვალს ქ. თბილისში, სასტუმრო „მონოგრაფში“, ევროკავშირის მიერ დაფინანსებულ პროექტ „PROMETHEUS“-ის II ფაზის ფარგლებში, პროექტით გათვალისწინებული აქტივობების დაგეგმვისა და პარტნიორებთან თანამშრომლობის საკითხებზე სამუშაო შეხვედრები გაიმართა, რომელსაც ესწრებოდა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 14 თანამშრომელი;
- 2024 წლის 21 თებერვალს, ქ. თბილისში, ევროკავშირის მიერ დაფინანსებულ პროექტ „Prometheus“-ის II ფაზის ფარგლებში, განხორციელდა მიგრანტთა კონტრაბანდისა და ტრეფიკინგის გამოძიების სამუშაო ჯგუფების რიგით მე-4 საკოორდინაციო შეხვედრა; რომელსაც ესწრებოდა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2 თანამშრომელი;

- 2024 წლის 20-21 თებერვალს გაერთიანებულ სამეფოში, ქ. ლონდონში, უკანონო მიგრაციის თემაზე „OA 2.6 JOT SMALL BOATS“-ის შეხვედრა გაიმართა, რომელსაც ესწრებოდა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 1 თანამშრომელი;
- 2024 წლის 5-9 თებერვალს ქ. ბუდაპეშტში (უნგრეთი), ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის „სასწავლო და ოპერატიული პარტნიორობა ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ (TOPCOP)” ფარგლებში, ჩატარდა ტრენერთა ტრენინგი ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) თემაზე, რომელსაც ესწრებოდა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2 თანამშრომელი;
- 2024 წლის 27 მარტს დიდ ბრიტანეთში გაიმართა ონლაინ შეხვედრა THB virtual operational experts meeting, რომელსაც ესწრებოდა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 1 თანამშრომელი;
- 2024 წლის 28 მარტს GUAM- ონლაინ სამუშაო შეხვედრას ტრეფიკინგისა და უკანონო მიგრაციის საკითხებზე ესწრებოდა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 1 თანამშრომელი;
- 2024 წლის 27 თებერვალს ქ. ბათუმში გაიმართა სამუშაო შეხვედრა მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის (IOM) წარმომადგენლებთან ტრეფიკინგის თემაზე ახალი პროექტის განხილვის თაობაზე. შეხვედრას ესწრებოდა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 1 თანამშრომელი;
- 2024 წლის 25-29 მარტს საფრანგეთის რესპუბლიკის შინაგან საქმეთა და ზღვის იქითა ტერიტორიების სამინისტროს არასრულწლოვანთა ცენტრალური ოფისის (OFIM) მხარდაჭერით, თბილისში, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიაში ჩატარდა ტრენინგი: „არასრულწლოვანთა მიმართ სექსუალური ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლა“, რომელსაც ესწრებოდა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 17 თანამშრომელი;
- 2024 წლის 15-19 აპრილს ქ. თბილისში, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს პოლიციის აკადემიაში, ევროკავშირის მიერ დაფინანსებულ პროექტ „Prometheus“-ის II ფაზის ფარგლებში მიგრანტების კონტრაბანდის გამოძიების მეთოდების შესახებ ტრენინგი ჩატარდა, რომელსაც ესწრებოდა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 18 თანამშრომელი;
- 2024 წლის 22-24 აპრილს საფრანგეთში, ქ. ნიცაში, „OA 2.3“-ის ფარგლებში, უკანონო მიგრაციის თემატიკაზე Europol-ის ორგანიზებით გაიმართა ექსპერტთა მორიგი შეხვედრა, რომელსაც ესწრებოდა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 1 თანამშრომელი;
- 2024 წლის 22 მაისს „Operational Action RISK“-ის ფარგლებში, უკანონო მიგრაციის თემაზე გაიმართა ვიდეოკონფერენცია. შეხვედრაში მონაწილეობდნენ რუმინეთის, ავსტრიის, ევროჯასტისა და Europol-ის წარმომადგენლები. შეხვედრაზე განიხილეს უახლესი მონაცემები „Operational Action RISK“-ის შემდგომი განვითარების შესახებ და 2024/2025 წლების პერსპექტივა/პერსპექტივები. შეხვედრას ესწრებოდა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 1 თანამშრომელი;
- 2024 წლის 25-26 ივნისს ესპანეთში, ქალაქ მადრიდში, Europol-ის მხარდაჭერით გაიმართა შეხვედრა მიგრანტების უკანონო გადაყვანისა და ადამიანებით უკანონო ვაჭრობის თემატიკაზე; რომელსაც ესწრებოდა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 1 თანამშრომელი;
- 2024 წლის 18-22 მარტს ქ. თბილისში, ევროკავშირის მიერ დაფინანსებულ პროექტ „Prometheus“-ის II ფაზის ფარგლებში, გაიმართა სიმულაციური ტრენინგი

„მიგრანტების კონტრაბანდისა და ადამიანებით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) გამოძიების სტრატეგია“. ტრენინგს ესწრებოდა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 12 თანამშრომელი;

- 2024 წლის 27-31 მაისს ქ. ბათუმში, ევროკავშირის მიერ დაფინანსებულ პროექტ „Prometheus“-ის II ფაზის ფარგლებში, ჩატარდა ტრენინგი მიგრანტთა კონტრაბანდისა და ტრეფიკინგის გამოძიების შესახებ, რომელსაც ესწრებოდა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 18 თანამშრომელი.
- 2024 წლის 3-7 ივნისს, ქ. ჰააგაში (ნიდერლანდები) და ქ. მადრიდში (ესპანეთში), ევროკავშირის მიერ დაფინანსებულ პროექტ „Prometheus“-ის II ფაზის ფარგლებში, გაიმართა სასწავლო ვიზიტი თემაზე „მიგრანტების კონტრაბანდისა და ადამიანებით ვაჭრობის გამოძიების შესახებ ოპერატიული ინფორმაციის გაზიარება საერთაშორისო კონტექსტში“. სასწავლო ვიზიტში მონაწილეობდა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 4 თანამშრომელი;
- 2024 წლის 19-20 ივნისს ქ. ვენაში (ავსტრია), ეუთო-ს (OSCE) მხარდაჭერით, ჩატარდა საერთაშორისო კონფერენცია „უკრაინელი ლტოლვილების ნაკადის ფონზე ადამიანებით ვაჭრობის წინააღმდეგ სისხლისსამართლებრივი რეაგირებისა და გამოვლენის გაძლიერება“, რომელშიც მონაწილეობდა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 1 თანამშრომელი;
- 2024 წლის 24-28 ივნისს ქ. თბილისში, ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის (OSCE) მხარდაჭერით, ჩატარდა ტრენინგი „ტრავმის გათვალისწინებით, მრავალდისციპლინური რეაგირება ადამიანებით ვაჭრობაზე“, რომელსაც ესწრებოდა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 18 თანამშრომელი;
- 2024 წლის 24-28 ივნისს ქ. თბილისში, ევროკავშირის მიერ დაფინანსებულ პროექტ „Prometheus“-ის II ფაზის ფარგლებში, ჩატარდა ტრენინგი ყალბი დოკუმენტების პრაქტიკული გამოძიების შესახებ. განხილული საკითხები, ასევე, მოიცავდა ტრეფიკინგის პრაქტიკულ შემთხვევებს, რომელსაც ესწრებოდა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 20 თანამშრომელი;
- 2024 წლის 9-10 მარტს კახეთში, ევროკავშირის მიერ დაფინანსებულ პროექტ „მართლმსაჯულების სისტემის რეფორმის ხელშეწყობა საქართველოში“ ფარგლებში, გაიმართა სამუშაო შეხვედრა „ქუჩაში მცხოვრები ან/და მომუშავე ბავშვების ყველა სახის ძალადობისგან დაცვის 2025-2030 წლების სახელმწიფო სტრატეგია“, რომელშიც მონაწილეობდა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 4 თანამშრომელი;
- 2024 წლის 24 აპრილს ქ. ქუთაისში, მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციისა (IOM) და აშშ-ის ანტინარკოტიკულ და სამართალდამცავ ორგანოებთან თანამშრომლობის ბიუროს (INL) მხარდაჭერით, გაიმართა სამუშაო შეხვედრა „ბავშვთა ტრეფიკინგი – ქუჩაში მცხოვრები ან/და მომუშავე ბავშვების საკითხი“, რომელსაც ესწრებოდა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2 თანამშრომელი;
- 2024 წლის 28 მაისს ქ. ბათუმში, მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის (IOM) მხარდაჭერით, გაიმართა IOM-ის წარმომადგენლების სამუშაო შეხვედრა აჭარის ა/რ პოლიციის დეპარტამენტის არასრულწლოვანთა საქმეთა სამმართველოს თანამშრომლებთან. შეხვედრას ესწრებოდა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 5 თანამშრომელი;

- 2024 წლის 29 მაისს ქ. ბათუმში, მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციისა (IOM) და აშშ-ის ანტინარკოტიკულ და სამართალდამცავ ორგანოებთან თანამშრომლობის ბიუროს (INL) მხარდაჭერით, გაიმართა ერთობლივი საკოორდინაციო შეხვედრა ბავშვთა ტრეფიკინგის, განსაკუთრებით, ქუჩაში მცხოვრები ან/და მომუშავე ბავშვების საკითხზე. შეხვედრაში მონაწილეობდა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 3 თანამშრომელი;
- 2024 წლის 3-4 ივნისს ქ. თბილისში, ევროკავშირის მიერ დაფინანსებულ პროექტ „მართლმსაჯულების სისტემის რეფორმის ხელშეწყობა საქართველოში“ ფარგლებში, გაიმართა შეხვედრა ქუჩაში მცხოვრები ან/და მომუშავე ბავშვების ყველა სახის ძალადობისგან, მათ შორის, ტრეფიკინგისგან დაცვის 2025-2030 წლების სახელმწიფო სტრატეგიის პროექტი. შეხვედრაში მონაწილეობდა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 1 თანამშრომელი;
- 2024 წლის 2 ივლისს, მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის (IOM) მხარდაჭერით, შედგა უზბეკეთის სამთავრობო დელეგაციის ვიზიტი შს სამინისტროში ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის მიმართულებით საქართველოს საუკეთესო პრაქტიკის გაზიარების მიზნით. სამუშაო შეხვედრაში მონაწილეობდა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 5 თანამშრომელი;
- 2024 წლის 8-9 ივლისს ქ. თბილისში, ევროკავშირის მიერ დაფინანსებულ პროექტ „მართლმსაჯულების სისტემის რეფორმის ხელშეწყობა საქართველოში“ ფარგლებში, გაიმართა სამუშაო შეხვედრა თემაზე „ქუჩაში მცხოვრები ან/და მომუშავე ბავშვები“, რომელშიც მონაწილეობდა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 5 თანამშრომელი;
- 2024 წლის 9 ივლისს EMPACT OAP-ის ფარგლებში, ონლაინ სემინარს კრიმინალური ქსელების მიერ იურიდიული ბიზნესსტრუქტურების (Legal Business Structures) ბოროტად გამოყენების თემაზე ესწრებოდა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 1 თანამშრომელი;
- 2024 წლის 17-19 ივლისს ქ. თბილისში, აშშ-ის ანტინარკოტიკულ და სამართალდამცავ ორგანოებთან თანამშრომლობის ბიუროსა (INL) და მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის (IOM) მხარდაჭერით, ჩატარდა, ტრენინგი „ადამიანებით ვაჭრობის დანაშაულის გამოვლენის/გამოძიების პროცესში მსხვერპლზე ორიენტირებული მიდგომის დანერგვის თემაზე“. ტრენინგს ესწრებოდა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 19 თანამშრომელი;
- 2024 წლის 22-26 ივლისს ქ. თელავში, ევროკავშირის მიერ დაფინანსებულ პროექტ „Prometheus“-ის II ფაზის ფარგლებში, შსს აკადემიის ინსტრუქტორის ჩართულობით, განხორციელდა პრაქტიკული ტრენინგი მიგრანტთა უკანონო გადაყვანისა და ტრეფიკინგის გამოძიების შესახებ, რომელსაც ესწრებოდა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 15 თანამშრომელი;
- 2024 წლის 2 აგვისტოს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ადამიანის უფლებების დაცვის დეპარტამენტმა ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) საკითხებზე მომუშავე დანაყოფების წარმომადგენლებთან შიდაუწყებრივი სამუშაო შეხვედრა გამართა, სადაც საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლებმა ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებების განმახორციელებელი საუწყებათაშორისო საკოორდინაციო საბჭოს მიერ დამტკიცებული ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის 2023-2024 წლების სამოქმედო გეგმა და გეგმით გათვალისწინებული უწყების კომპეტენციას

მიკუთვნებული აქტივობების შესრულების საკითხები განიხილეს. შეხვედრის მონაწილეებმა, ასევე, ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მიმართულებით თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლების, სწავლებებისა და საზოგადოების ცნობიერების ამაღლების მიმართულებით განხორციელებულ და სამომავლოდ დაგეგმილ ღონისძიებებზე იმსჯელეს. შეხვედრას ესწრებოდა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 14 თანამშრომელი;

- 2024 წლის 2-3 აგვისტოს წინანდალში, მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის (IOM) მხარდაჭერით, ჩატარდა, ტრენინგი „შრომითი ექსპლუატაციის მიზნით ადამიანით ვაჭრობის ფსიქოსოციალური ასპექტები და ეფექტური კომუნიკაცია ადამიანით ვაჭრობის შესაძლო მსხვერპლებთან“. ტრენინგს ესწრებოდა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2 თანამშრომელი;

- 2024 წლის 5-6 აგვისტოს ქ. ბიშკეკში (ყირგიზეთი), ნარკოტიკებისა და დანაშაულთან ბრძოლის განყოფილების ცენტრალური აზიის რეგიონული ოფისის (UNODC ROCA) მხარდაჭერით, გაიმართა ადამიანით ვაჭრობასთან დაკავშირებული დანაშაულების გამოძიების საკონსულტაციო ჯგუფის სამუშაო შეხვედრა, რომელსაც ესწრებოდა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 1 თანამშრომელი;

- 2024 წლის 12-13 სექტემბერს ჩატარდა ონლაინ შეხვედრა („Meeting of National Anti-Trafficking Co-ordinators and Rapporteurs or equivalent mechanisms“). შეხვედრას ესწრებოდა სხვადასხვა ქვეყნის 170-მდე წარმომადგენელი, სპეციალისტი, რომელთაც შეხება აქვთ ტრეფიკინგსა და ადამიანით ვაჭრობასთან დაკავშირებულ დანაშაულებთან. შეხვედრაზე განხილულ იქნა სხვადასხვა ქვეყნის პრაქტიკა, თუ როგორ გაუწიონ დახმარება ადამიანებით ვაჭრობის დანაშაულების მსხვერპლებს, როგორ უნდა ითანამშრომლონ ეროვნულ კოორდინატორებთან, მომხსენებლებთან ან მონაწილე სახელმწიფოების მიერ დაარსებულ სხვა ეროვნულ მექანიზმებთან ტრეფიკინგის საწინააღმდეგო აქტივობების კოორდინაციისა და მონიტორინგისთვის. ასევე, მონაწილეებმა მოისმინეს ეროვნული კოორდინატორების გამოცდილება. შეხვედრა ემსახურებოდა როგორც ექსპერტულ პლატფორმებს ერთობლივი ქმედებების იდენტიფიცირებას, ისე ეუთო-ს რეგიონში ადამიანებით ვაჭრობასთან დაკავშირებული ამჟამინდელი გამოწვევების გადაჭრას, ეუთო-ს შესაბამისი ვალდებულებებისა და რეკომენდაციების შესრულების ხელშეწყობას, ბავშვთა ტრეფიკინგის ყველა ფორმის, მათ შორის, სექსუალური ექსპლუატაციის, ისევე, როგორც ბავშვების სექსუალური ექსპლუატაციის სხვა ფორმების წინააღმდეგ ბრძოლასა და ბავშვთა ვაჭრობის პრევენციას, მათ შორის, ქუჩაში მაცხოვრებელ არასრულწლოვანებთან მიმართებით. ონლაინ ტრენინგს ესწრებოდა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 3 თანამშრომელი;

- 2024 წლის 12 სექტემბერს ქ. თბილისში, ევროკავშირის მიერ დაფინანსებულ პროექტ „Prometheus“-ის II ფაზის ფარგლებში, ესპანელი ექსპერტების მონაწილეობით, გაიმართა სამუშაო შეხვედრა ტრეფიკინგის გამოძიებისა და მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორების საქმიანობის შესახებ. შეხვედრას ესწრებოდა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 5 თანამშრომელი;

- 2024 წლის 16-20 სექტემბერს ნიდერლანდებში, EMPACT THB Hackathon პროგრამის ფარგლებში, ჩატარდა მესამე სამუშაო შეხვედრა ტრეფიკინგის, სექსუალური და შრომითი ექსპლუატაციის თემაზე, რომელსაც ესწრებოდა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 1 თანამშრომელი;

- 2024 წლის 19-20 სექტემბერს ქ. თბილისში, გაერო-ს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის (UNHCR) წარმომადგენლობის მხარდაჭერით, ჩატარდა ტრენინგი წამების, არაადამიანური მოპყრობისა და ექსპლუატაციის მსხვერპლთა ეფექტური

იდენტიფიკაციის, დაცვისა და რეაბილიტაციის თემაზე. განხილული საკითხები, ასევე, მოიცავდა ტრეფიკინგის ასპექტებს. ტრენინგს ესწრებოდა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 3 თანამშრომელი;

- 2024 წლის 23-27 სექტემბერს, შეფასების რიგით მე-4 რაუნდის ფარგლებში, ადამიანით ვაჭრობის საკითხებში ევროპის საბჭოს ექსპერტთა ჯგუფის (GRETA) ვიზიტი გაიმართა, შეხვედრას ესწრებოდა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 3 თანამშრომელი;
- 2024 წლის 23-27 სექტემბერსა და 25-29 ნოემბერს ქ. თბილისში, ევროკავშირის მიერ დაფინანსებულ პროექტ „Prometheus"-ის II ფაზის ფარგლებში, ჩატარდა ტრენინგი (ორ ნაწილად) „ფინანსური გამოძიების, კრიპტოაქტივობის, კრიმინალური აქტივების იდენტიფიცირებისა და ამოღების საგამოძიებო ტექნიკები". შეხვედრას, ორივე სესიაზე ესწრებოდა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 14 თანამშრომელი;
- 2024 წლის 15 ოქტომბერს ქ. თბილისში, ევროკავშირის მიერ დაფინანსებულ პროექტ „Prometheus"-ის II ფაზის ფარგლებში, განხორციელდა მიგრანტების, კონტრაბანდისა და ტრეფიკინგის გამოძიების სამუშაო ჯგუფების რიგით მე-4 საკოორდინაციო შეხვედრა, რომელსაც ესწრებოდა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2 თანამშრომელი;
- 2024 წლის 13-15 ნოემბერს ქ. თბილისში, ევროკავშირის მიერ დაფინანსებულ პროექტ „Prometheus"-ის II ფაზის ფარგლებში, ჩატარდა სემინარი თემაზე „ინტერსექციური, მულტიდისციპლინური და ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული მიდგომა ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლაში". სემინარს ესწრებოდა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 5 თანამშრომელი;
- 2024 წლის 9-12 დეკემბერს ნიდერლანდებში, ქ. ჰააგაში, ჩატარდა EMPACT-ის ფარგლებში მე-8 მულტიდისციპლინური შეხვედრა ფინანსური გამოძიებებისა და აქტივების ამოღების თემაზე, რომელსაც ესწრებოდა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 1 თანამშრომელი;
- 2024 წლის 9-11 დეკემბერს პოლონეთში, ქ. ვარშავაში, (ფრონტექსის სათავო ოფისში), გაიმართა საზღვარზე მიგრანტთა უკანონო გადაყვანის (მათ შორის, ადამიანით უკანონო ვაჭრობის), სინთეტიკური ნარკოტიკის საზღვარზე უკანონო გადატანისა და ამ მიზნით დოკუმენტების გაყალბების წინააღმდეგ მიმართული ერთობლივი სწავლების მოსამზადებელი შეხვედრა – JAD Stopover 4 Preparatory Meeting, რომელსაც ესწრებოდა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 1 თანამშრომელი.

აქტივობა 1.2.11 აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის პოლიციის დეპარტამენტის შემადგენლობაში მოქმედი სპეციალისტების ჯგუფის წევრების (Task Force) გადამზადება ტრეფიკინგის თემაზე და მათთვის ახალი ტენდენციების გაცნობა სავარაუდო მსხვერპლთა/დაზარალებულთა გამოვლენასა და მათთან მოპყრობასთან დაკავშირებით

ინდიკატორი: გადამზადებული წევრების რაოდენობა (7); ტრენინგების რაოდენობა (2).

სტატუსი: სრულად შესრულდა

1.2.7 - 1.2.10 აქტივობების შესრულების ანგარიშში ჩამოთვლილ კვალიფიკაციის ამაღლების ღონისძიებებში მონაწილეობა მიიღო აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის პოლიციის დეპარტამენტის, მათ შორის, სპეციალისტების ჯგუფის (Task Force) 18-მა წარმომადგენელმა.

აქტივობა 1.2.12 საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიგრაციის დეპარტამენტის თანამშრომელთა გადამზადება ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) თემაზე

ინდიკატორი: გადამზადებული თანამშრომლების რაოდენობა (მინ. 20); ტრენინგის რაოდენობა (მინ. 1)

სტატუსი: სრულად შესრულდა

2023 წლის 20-24 ნოემბერს შინაგან საქმეთა სამინისტროს პოლიციის აკადემიაში,იუსტიციის სამინისტროს ხელმძღვანელობით ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის (ეუთო) ფინანსური მხარდაჭერით გამართულ რიგით მეორე სიმულაციურ სწავლებაში „ადამიანით ვაჭრობის წინააღმდეგ ბრძოლა: უწყებათაშორისი თანამშრომლობის მდგრადობა ეროვნული სიმულაციური ტრენინგის განხორციელების გზით“ მონაწილეობდა მიგრაციის დეპარტამენტის 4 თანამშრომელი.

2024 წლის 24-25 ივნისს ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის (ეუთო) ორგანიზებით გაიმართა ტრენინგი: Trauma-Informed Multi- Disciplinary Responses to Trafficking in Persons (TIP), რომელსაც ესწრებოდა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიგრაციის დეპარტამენტის 2 თანამშრომელი.

ამასთან, 2024 წლის 10 დეკემბერს სსიპ „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს პოლიციის აკადემიაში“ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიგრაციის დეპარტამენტის მოსამსახურეებს ჩაუტარდათ ტრენინგი თემაზე: „ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლა“. ტრენინგზე განიხილეს ისეთი საკითხები, როგორიცაა: ტრეფიკინგი და მისი უარყოფითი გავლენა; ტრეფიკინგის განმარტება, ადამიანით ვაჭრობის ეტაპები; ტრეფიკინგის ფორმები; ადგილობრივი და საერთაშორისო რეგულაციები ადამიანით ვაჭრობასთან მიმართებით; განსხვავებები ადამიანებით ვაჭრობასა და მიგრანტთა უკანონო გადაყვანას შორის; ტრეფიკინგის მსხვერპლთა მახასიათებლები; ტრეფიკინგის მსხვერპლთან კონტაქტის დამყარება და გასაუბრება/გამოკითხვა; ადგილობრივი რეფერალური მექანიზმი და სხვა მნიშვნელოვანი საკითხები. ტრენინგში მონაწილეობდა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიგრაციის დეპარტამენტის 13 თანამშრომელი.

დამატებით, 2024 წლის 19-20 სექტემბერს გაერო-ს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის (UNHCR) წარმომადგენლობის ორგანიზებით, უნგრეთის ჰელსინკის კომიტეტსა (HHC) და გაეროს წამების მსხვერპლთა ნებაყოფლობით ფონდთან (UNFVT) თანამშრომლობით, გაიმართა ტრენინგი წამების, არაადამიანური მოპყრობისა და ექსპლუატაციის მსხვერპლთა ეფექტური იდენტიფიკაციის, დაცვისა და რეაბილიტაციის თემაზე. ტრენინგში მონაწილეობდა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიგრაციის დეპარტამენტის 2 თანამშრომელი.

აქტივობა 1.2.13 შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტის თანამშრომელთა პროფესიული განვითარება

ინდიკატორი: გადამზადებული თანამშრომლების რაოდენობა (მინ. 10); ტრენინგის რაოდენობა (მინ.)

სტატუსი: მეტწილად შესრულდა

საანგარიშო პერიოდში შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტის 6-მა თანამშრომელმა მონაწილეობა მიიღო უწყებისა და პარტნიორი ორგანიზაციების მიერ ორგანიზებულ, ჯამში, 3 სასაწავლო აქტივობაში. აღნიშნული აქტივობები მოიცავდა ისეთ საკითხებს, როგორიცაა: დანაშაულის (მათ შორის ტრეფიკინგი) გამოვლენა, მსხვერპლის იდენტიფიცირების მექანიზმები, საიდენტიფიკაციო ნიშნები და ტრეფიკინგის სავარაუდო შემთხვევის რეფერირების მექანიზმი.

აქტივობა 1.2.14 შრომის ინსპექციის სამსახურის თანამშრომელთა გადამზადება სავარაუდო მსხვერპლთა/დაზარალებულთა გამოვლენასა და მათთან მოპყრობასთან დაკავშირებით

ინდიკატორი: გადამზადებული თანამშრომლების რაოდენობა (50); ტრენინგის რაოდენობა (მინ.2)

სტატუსი: სრულად შესრულდა

შრომის ინსპექციის სამსახურის ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულება არის თანამშრომელთა პროფესიული გადამზადება და კვალიფიკაციის მუდმივად ამაღლება. ამ მიზნით 2023 წელს დონორი ორგანიზაციების მხარდაჭერით და სამსახურის შიდა რესურსებით თანამშრომლებს ჩაუტარდათ არაერთი ტრენინგი და სემინარი.

2023 წელს მომზადდა შრომის ინსპექტორების საჭიროებებზე დაფუძნებული შიდა სასწავლო გეგმა, რომლის მიხედვითაც დაიგეგმა და განხორციელდა შრომის ყველა ინსპექტორის გადამზადება. სამსახურის თანამშრომლები მონაწილეობდნენ 15 სხვადასხვა სასწავლო აქტივობაში. ტრენინგები ჩატარდა საქართველოში მოქმედი საერთაშორისო ორგანიზაციების სახვადასხვა პროექტის ფარგლებში, მათ შორის, ევროპის საბჭოს პროექტის „სოციალური და ეკონომიკური უფლებების დაცვის გაძლიერება“, ევროკავშირის საჯარო მმართველობის პროექტის“, გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) პროექტის „გლობალური პროგრამა-განვითარებაზე ორიენტირებული მიგრაციის ჩამოყალიბება“ ფინანსური მხარდაჭერით. ასევე, სამსახურს თანამშრომელთა პროფესიული გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლებაში მხარდაჭერა გაუწიეს მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციამ (IOM) და ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციამ (EUTO). აღნიშნული აქტივობების ფარგლებში გადამზადდა შრომის ინსპექციის სამსახურის 50-მდე თანამშრომელი.

ამასთან, 2024 წლის საანგარიშო პერიოდში შრომის ინსპექციის სამსახურის მიერ ჩატარდა უშუალოდ ან ჩართულობით 27 მოკლევადიანი და გრძელვადიანი ტრენინგი 16 თემატურ საკითხზე, სადაც 32-მა შრომის ინსპექტორმა მიიღო მონაწილეობა.

აქტივობა 1.2.15 ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) თემაზე მოსამართლეებისა და მათი თანაშემწეების გადამზადება

ინდიკატორი: გადამზადებული თანამშრომლების რაოდენობა (მინ. 30); ტრენინგის რაოდენობა (მინ. 2)

სტატუსი: მეტწილად შესრულდა

საანგარიშო პერიოდში არსებული შეზღუდული ადმინისტრაციული ბიუჯეტისა და საერთო სასამართლოების დატვირთვის გათვალისწინებით, 1.2.15 აქტივობა სრულად ვერ განხორციელდა. კერძოდ, საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოსთან თანამშრომლობით,

იუსტიციის უმაღლესი სკოლის ორგანიზებით 2023 წლის 12-13 ივნისს განხორციელდა ტრენინგი ადამიანით ვაჭრობის თემაზე, რომელშიც მონაწილეობა მიიღო, ჯამში, 22-მა მოსამართლემ და სასამართლოს ადმინისტრაციულმა პერსონალმა.

აქტივობა 1.2.16 საზღვარგარეთ საქართველოს საკონსულო თანამდებობის პირთა გადამზადება ტრეფიკინგის სავარაუდო მსხვერპლთა/დაზარალებულთან მოპყრობისა და დახმარების საკითხთან დაკავშირებით

ინდიკატორი: გადამზადებული თანამშრომლების რაოდენობა (მინ. 60); ტრენინგის რაოდენობა (მინ. 2)

სტატუსი: სრულად შესრულდა

ტრეფიკინგის მოდული გათვალისწინებულია საკონსულო თანამდებობის პირთა დასანიშნად სავალდებულო სპეციალური სასწავლო პროგრამის კურიკულუმსა და საგამოცდო საკითხებში.

2023-2024 წლებში ჩატარდა ასეთი 4 პროგრამა. გაზაფხულის სესიების ფარგლებში გადამზადდა 61 თანამშრომელი, ხოლო შემოდგომის სესიების ფარგლებში – 24 თანამშრომელი.

აქტივობა 1.2.17 იუსტიციის სახლების, სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს ტერიტორიული სამსახურებისა და საზოგადოებრივი ცენტრების თანამშრომელთა გადამზადება ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) თემაზე

ინდიკატორი: გადამზადებული თანამშრომლების რაოდენობა (მინ. 50); ტრენინგის რაოდენობა (მინ. 2)

სტატუსი: სრულად შესრულდა

2023 წლის 7-8 აგვისტოს, 5-6 და 27-28 სექტემბერს და 17-18 ოქტომბერს, სსიპ „საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრის“ ორგანიზებით, საკოორდინაციო საბჭოს სამდივნოსთან თანამშრომლობით, ჩატარდა ტრენინგი ადამიანით ვაჭრობის თემაზე. ტრენინგში მონაწილეობა მიიღო სსიპ „სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს“ 65-მა თანამშრომელმა.

აქტივობა 1.2.18 საერთაშორისო სამშვიდობო მისიებში მონაწილე ქართველი სამხედროების მომზადება ტრეფიკინგის სავარაუდო მსხვერპლთა/დაზარალებულების იდენტიფიცირების, მათთან მოპყრობის, მათი დახმარებისა და რეფერირების საკითხებთან დაკავშირებით

ინდიკატორი: გადამზადებული სამხედროების რაოდენობა (მინ. 100)

სტატუსი: სრულად შესრულდა

EUTM RCA-სთვის წინასწარი მომზადების ფარგლებში, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს თავდაცვის ძალების სამხედრო პოლიციის ასეულისთვის ტრეფიკინგის საკითხებზე წინასწარი მომზადების ორი ტრენინგი ჩატარდა 2023 წლის თებერვალსა და მარტში. ტრენინგზე დამსწრე პერსონალის საერთო რაოდენობა 106 იყო.

ამოცანა 1.3 ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა/დაზარალებულთა საზოგადოებაში რეინტეგრაციის ხელშეწყობა

ინდიკატორი: ტრეფიკინგის მსხვერპლთა/დაზარალებულთა დაცვის და დახმარების სერვისების მოსარგებლეთა გაზრდილი რაოდენობა

სტატუსი: სრულად შესრულდა

2023-2024 წლებში სახელმწიფო ზრუნვის სააგენტოს მიერ შეთავაზებული სერვისებით ისარგებლა ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) 23-მა დაზარალებულმა/მსხვერპლმა, რაც საბაზისო მაჩვენებელთან (4) შედარებით, დაახლოებით, ხუთმაგ ზრდას (475%) გულისხმობს.

აქტივობა 1.3.1 ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა არსებული თავშესაფრების და კრიზისული ცენტრების საქმიანობის მონიტორინგი

ინდიკატორი: განხორციელებული მონიტორინგი (მინ. 5)

სტატუსი: სრულად შესრულდა

2023 წელს ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთათვის/დაზარალებულთათვის არსებული თავშესაფრებისა და კრიზისული ცენტრების საქმიანობის მონიტორინგის კუთხით სახელმწიფო ზრუნვის სააგენტომ განახორციელა 7 გეგმური ან/და არაგეგმური მონიტორინგი ბათუმის ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა მომსახურების, ასევე, თბილისის, ქუთაისისა და გორის ძალადობის მსხვერპლთა მომსახურების დაწესებულებებში.

რაც შეეხება 2024 წელს, სააგენტოს მონიტორინგისა და შეფასების სამმართველოს მონიტორინგის ჯგუფმა განახორციელა, ჯამში, 16 მონიტორინგი (3 გეგმური და 13 არაგეგმური), რომელთაგან 7 მიზნად ისახავდა თავშესაფრის მონიტორინგს, 4 – კრიზისული ცენტრის მონიტორინგს, ხოლო 5 მონიტორინგი განხორციელდა თავშესაფრისა და კრიზისული ცენტრების ერთიან დაწესებულებაში.

აქტივობა 1.3.2 ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა/დაზარალებულ უცხო ქვეყნის მოქალაქისა და მოქალაქეობის არმქონე პირთა მუდმივ ადგილსამყოფელ სახელმწიფოში, ხოლო ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლ საქართველოს მოქალაქეთა საქართველოს ტერიტორიაზე უსაფრთხოდ დაბრუნების უზრუნველყოფა

ინდიკატორი: მუდმივ ადგილსამყოფელ სახელმწიფოში დაბრუნებულ ტრეფიკინგის მსხვერპლთა/დაზარალებულთა რაოდენობა

სტატუსი: სრულად შესრულდა

ზრუნვის სააგენტო მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციასთან (IOM) მჭიდრო თანამშრომლობით ახორციელებს ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლ/დაზარალებულ უცხო ქვეყნის მოქალაქისა და მოქალაქეობის არმქონე პირთა მუდმივ ადგილსამყოფელ სახელმწიფოში რეპატრიაციის სერვისს.

2023-2024 წლებში ზრუნვის სააგენტოს სერვისებში ჩართული, ჯამში, 5 ადამიანით ვაჭრობის დაზარალებული იქნა დაბრუნებული წარმოშობის სახელმწიფოში:

- 2023 წელს ტაილანდის მოქალაქე 3 ქალი დაბრუნდა წარმოშობის სახელმწიფოში;
- 2024 წელს უზბეკეთის 2 მოქალაქე დაბრუნდა წარმოშობის სახელმწიფოში.

აქტივობა 1.3.3 უცხო ქვეყნის მოქალაქისა და მოქალაქეობის არმქონე ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა/დაზარალებულთა, საჭიროების შემთხვევაში, დროებითი ბინადრობის ნებართვით უზრუნველყოფა

ინდიკატორი: მსხვერპლთა/დაზარალებულთა რაოდენობა, რომლებსაც მიეცათ დროებითი ბინადრობის ნებართვა

სტატუსი: სრულად შესრულდა

2023 წელს სსიპ „სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოში“ არ შესულა მომართვა სპეციალური ბინადრობის ნებართვის გაცემის შესახებ, ხოლო 2024 წელს გაიცა სპეციალური ბინადრობის ერთი ნებართვა.

აქტივობა 1.3.4 ტრეფიკინგის მსხვერპლთა და დაზარალებულთა დასაქმების ხელშეწყობის მიზნით არსებული პრაქტიკისა და შესაძლებლობების ანალიზი და რეკომენდაციების შემუშავება

ინდიკატორი: განხორციელებული ანალიზი

სტატუსი: არ შესრულდა

საანგარიშო პერიოდში აქტივობა არ განხორციელებულა.

აქტივობა 1.3.5 ტრეფიკინგის მსხვერპლთა იდენტიფიცირების მუდმივმოქმედი ჯგუფის უნარ-ჩვევების ამაღლება გადამზადების გზით

ინდიკატორი: გადამზადებული წევრების რაოდენობა (მინ. 5); ჩატარებული ტრენინგი (მინ. 1)

სტატუსი: არ შესრულდა

საანგარიშო პერიოდში აქტივობა არ განხორციელებულა.

აქტივობა 1.3.6 ზრუნვის სააგენტოს პერსონალის უნარ-ჩვევების ამაღლება ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების საკითხებში ტრენინგების გზით

ინდიკატორი: გადამზადებული თანამშრომლების რაოდენობა (მინ. 10); განხორციელებული ტრენინგი (მინ. 1)

სტატუსი: სრულად შესრულდა

სსიპ „სახელმწიფო ზრუნვის სააგენტოს“ პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით 2023-2024 წლებში განხორციელდა შემდეგი აქტივობები:

- 2023 წლის 20-24 ნოემბერს საქართველოში ჩატარებული რიგით მეორე ეროვნული სიმულაციური ტრენინგში მონაწილეობა მიიღო სახელმწიფო ზრუნვის სააგენტოს 14-მა თანამშრომელმა;
- 2024 წლის 10-11 ივნისს, იუსტიციის სამინისტროს, როგორც ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღდეგ მიმართული ღონისძიებების განმახორციელებელი საუწყებათაშორისო საკოორდინაციო საბჭოს ორგანიზებით, ევროპის კავშირის ფინანსური მხარდაჭერითა და მიგრაციის პოლიტიკის განვითარების საერთაშორისო ცენტრთან თანამშრომლობით, ჩატარდა ტრენინგი თემაზე - ადამიანით ვაჭრობის არასრულწლოვან მსხვერპლთა იდენტიფიცირება: სამართლებრივი და ფსიქოლოგიური ასპექტები. ტრენინგში მონაწილეობა ზრუნვის სააგენტოს 27-მა წარმომადგენელმა მიიღო;
- 2024 წლის 24-25 და 26-27 ივნისს ჩატარებულ ტრენინგებში (Trauma-Informed, Multi-Disciplinary Responses to Trafficking in Perosns) მონაწილეობა მიიღო ზრუნვის სააგენტოს 9 წარმომადგენელმა;
- 2024 წლის 17-19 ივლისს, აშშ-ს ანტიკორუფციულ და სამართალდამცავ ორგანოებთან თანამშრომლობის ბიუროს (INL) ახალი პროექტის („ერთობლივი ძალისხმევა ტრეფიკინგის წინააღმდეგ საბრძოლველად საქართველოში“) ფარგლებში გამართულ ტრენინგში ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაულის გამოვლენის/გამოძიების პროცესში მსხვერპლზე ორიენტირებული მიდგომის დანერგვის თემაზე მონაწილეობა მიიღო სააგენტოს 10-მა თანამშრომელმა.

აქტივობა 1.3.7 ტრენინგის გზით იურიდიული დახმარების სამსახურის თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლება ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) საკითხებზე

ინდიკატორი: გადამზადებული თანამშრომლების რაოდენობა (მინ. 20); განხორციელებული ტრენინგი (მინ. 1)

სტატუსი: სრულად შესრულდა

2023-2024 წლებში სსიპ „იურიდიული დახმარების სამსახური“ პერიოდულად უზრუნველყოფდა თანამშრომლების კვალიფიკაციის ამაღლებას სამსახურის კომპეტენციაში შემავალ საკითხებზე. მათ შორის, საანგარიშო პერიოდში სამსახურის 50-მდე თანამშრომელმა გაიარა სხვადასხვა სასწავლო კურსი ადამიანით ვაჭრობის ან/და მასთან დაკავშირებულ საკითხებზე.

აქტივობა 1.3.8 იურიდიული დახმარების სამსახურის ადვოკატებისთვის ტრეფიკინგის ვიწრო სპეციალიზაციის შემოღება

ინდიკატორი: ვიწრო სპეციალიზაციის მქონე ადვოკატების რაოდენობა (მინ. 10)

სტატუსი: ნაწილობრივ შესრულდა

საანგარიშო წლებში საგამოძიებო და სასამართლო მომართვიანობის ზრდამ მნიშვნელოვნად გაართულა ვიწრო სპეციალიზაციის დანერგვის პროცესი. სამსახურის არსებულმა ბიუჯეტმა ვერ უზრუნველყო დამატებითი კადრების დაფინანსება, რის გამოც ვიწრო სპეციალიზაცია ვერ დაინერგა დაგეგმილ ვადებში.

მიუხედავად აღნიშნულისა, 2024 წელს დაიწყო კადრების გადამზადების პროცესი. გეგმის მიხედვით, პროცესი 2026 წლის განმავლობაში დასრულდება, რის შემდეგაც ამოქმედდება ტრეფიკინგის ვიწრო სპეციალიზაცია.

აქტივობა 1.3.9 სამედიცინო სერვისების მიმწოდებლების გადამზადება ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) საკითხებზე

ინდიკატორი: გადამზადებული თანამშრომლების რაოდენობა (მინ. 20); განხორციელებული ტრენინგი (მინ. 1)

სტატუსი: სრულად შესრულდა

2023 წლის 20-21 მაისს, ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერითა და მიგრაციის პოლიტიკის განვითარების საერთაშორისო ცენტრთან თანამშრომლობით, განხორციელდა ტრენინგი ადამიანით ვაჭრობის თემაზე, რომლის სამიზნე აუდიტორიას ქ. თბილისის მასშტაბით სხვადასხვა სამედიცინო დაწესებულების პერსონალი წარმოადგენდა. ტრენინგში მონაწილეობა, ჯამში, 23-მა ადამიანმა მიიღო.

აქტივობა 1.3.10 ტრენინგის გზით სოციალური მუშაკების კვალიფიკაციის ამაღლება ტრეფიკინგის მსხვერპლებისა და დაზარალებულების დახმარების საკითხებში

ინდიკატორი: გადამზადებული თანამშრომლების რაოდენობა (მინ. 10); განხორციელებული ტრენინგი (მინ. 1)

სტატუსი: სრულად შესრულდა

1.3.6 აქტივობაში მითითებულ ტრენინგებში მონაწილეობა მიიღო ზრუნვის სააგენტოს 31-მა სოციალურმა მუშაკმა.

ამოცანა 1.4 ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის პოლიტიკის გაუმჯობესება კოორდინაციისა და თანამშრომლობის მექანიზმის გაძლიერების გზით

ინდიკატორი: ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის სამოქმედო გეგმის განხორციელების დონე

სტატუსი: მეტწილად შესრულდა

ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) 2023-2024 წლების სამოქმედო გეგმის მონიტორინგის საფუძველზე დადგინდა, რომ სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული 53 აქტივობიდან სრულად შესრულდა 35 აქტივობა (70%), მეტწილად შესრულდა 7 აქტივობა (14%), ნაწილობრივ შესრულდა 4 აქტივობა (8%) და არ შესრულდა 4 აქტივობა (8%).

აქტივობა 1.4.1 სამოქმედო გეგმის შესრულების პროგრესანგარიშის (6-თვიანი) და მონიტორინგის ანგარიშის (წლიური) მომზადება

ინდიკატორი: მომზადებული და გასაჯაროებული პროგრეს- და მონიტორინგის ანგარიშები; ანგარიშების წარდგენის მიზნით უწყებათაშორისი შეხვედრები

სტატუსი: სრულად შესრულდა

2023 წლის 27 დეკემბერს გამართულ საკოორდინაციო საბჭოს სხდომაზე საბჭოს წევრმა უწყებებმა ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის 2023-2024 წლების სამოქმედო გეგმის შესრულების ზეპირი ანგარიში წარადგინეს და ერთობლივად დაგეგმეს სამომავლო ნაბიჯები. აღნიშნული შეხვედრის შემდეგ სამოქმედო გეგმის შესრულების ერთწლიანი ანგარიშის მომზადების მიზნით წევრი და პარტნიორი სამთავრობო უწყებებისაგან გამოთხოვილ იქნა ინფორმაცია სამოქმედო გეგმის ფარგლებში განხორციელებული საქმიანობების შესახებ. შედეგად, შემუშავდა სამოქმედო გეგმის პროგრესანგარიში.

ასევე, 2024 წლის 15 ივლისს ჩატარდა ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის 2023-2024 წლების სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგის შეხვედრა. სამოქმედო გეგმით განსაზღვრული აქტივობების შესრულებაზე პასუხისმგებელმა სახელმწიფო უწყებებმა წარმოადგინეს საქმიანობის 2024 წლის 6 თვის ანგარიში და, შესაბამისად, დაგეგმეს შემდგომი ნაბიჯები. სამოქმედო გეგმის ორწლიანი შესრულების ანგარიშის ზეპირი ანგარიშგება 2025 წლის 25 მარტს საკოორდინაციო საბჭოს სხდომის ფარგლებში გაიმართა.

აქტივობა 1.4.2 ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებების განმახორციელებელი საუწყებათაშორისო საბჭოს საქმიანობის შესახებ საინფორმაციო ბიულეტენების მომზადება

ინდიკატორი: მომზადებულია და გამოქვეყნებულია საინფორმაციო ბიულეტენი (2)

სტატუსი: სრულად შესრულდა

2023-2024 წლებში შემუშავდა და გავრცელდა საკოორდინაციო საბჭოს საქმიანობის შესახებ შემდეგი დოკუმენტები:

- 2023 წლის საქმიანობის შესახებ საინფორმაციო ბიულეტენი;
- 2024 წლის იანვარ-ივნისის პერიოდში საქმიანობის შესახებ საინფორმაციო ბიულეტენი;
- 2024 წლის ივლის-დეკემბრის პერიოდში საქმიანობის შესახებ საინფორმაციო ბიულეტენი.

აქტივობა 1.4.3 ახალი სამოქმედო გეგმის პროექტის მომზადება და საბჭოს მიერ დამტკიცება

ინდიკატორი: დამტკიცებული სამოქმედო გეგმა

სტატუსი: მეტწილად შესრულდა

ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის 2025-2026 წლების სამოქმედო გეგმის პროექტის შემუშავების მიზნით საკოორდინაციო საბჭოს ფარგლებში მომზადდა გეგმის პროექტის პირველადი ვერსია, რომელიც კომენტარებისა და რეკომენდაციებისთვის დაეგზავნა არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებს, სახალხო დამცველის აპარატს, ამერიკის საელჩოს და საბჭოში ჩართულ სხვა წევრებს. მათი რეკომენდაციები და კომენტარები აისახა სამოქმედო გეგმის პროექტში.

სამოქმედო გეგმის პროექტი შემუშავდა „პოლიტიკის დოკუმენტების შემუშავების, მონიტორინგისა და შეფასების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019

წლის 20 დეკემბრის №629 დადგენილების შესაბამისად. შემუშავების პროცესში გათვალისწინებულ იქნა საერთაშორისო ორგანიზაციების (ევროპული კომისია, ევროპის საბჭოს ტრეფიკინგთან ბრძოლის ექსპერტთა ჯგუფი (GRETA), ეუთო, გაეროს ბავშვის უფლებათა კომიტეტი), გაერო-ს სპეციალური მომხსენებლების (ბავშვთა ვაჭრობის, პროსტიტუციისა და პორნოგრაფიის საკითხებში გაერო-ს სპეციალური მომხსენებელი და სპეციალური მომხსენებელი ქალთა მიმართ ძალადობის, ძალადობის მიზეზებისა და შედეგების შესახებ), ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტისა და საქართველოს სახალხო დამცველის რეკომენდაციები. შემუშავების პროცესში, ასევე, გათვალისწინებულ იქნა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკით დადგენილი სტანდარტები.

ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის 2025-2026 წლების სამოქმედო გეგმა 2025 წლის 25 მარტს დამტკიცდა.

აქტივობა 1.4.4 ერთობლივი ღონისძიებების განხორციელების გზით სახელმწიფო უწყებების თანამშრომლობის გაღრმავება არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებთან

ინდიკატორი: განხორციელებული ღონისძიებების რაოდენობა (მინ. 4)

სტატუსი: სრულად შესრულდა

საბჭოს წევრი სამთავრობო უწყებები აქტიურად თანამშრომლობენ არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებთან ტრეფიკინგის კუთხით პრევენციული, კვალიფიკაციის ამაღლების თუ სხვა სახის ერთობლივი ღონისძიებების განხორციელების კუთხით. არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციები აქტიურად არიან ჩართული, ასევე, ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის პოლიტიკის განხორციელებასა თუ საკანონმდებლო ცვლილებების შემუშავების პროცესში.

დეტალური ინფორმაციისთვის იხილეთ ინფორმაცია პრევენციისა და კვალიფიკაციის ამაღლების აქტივობების შესრულების თაობაზე ინფორმაცია.

აქტივობა 1.4.5 შრომითი ექსპლუატაციის პრევენციისა და მასზე რეაგირების მიზნით ბიზნესსექტორთან თანამშრომლობის გაღრმავება

ინდიკატორი: ბიზნესსექტორის მონაწილეობით საბჭოს ფარგლებში სამუშაო ჯგუფის შექმნა; სამუშაო ჯგუფის შეხვედრების რაოდენობა (მინ. 4)

სტატუსი: მეტწილად შესრულდა

2023-2024 წლების შრომის ინსპექციის სამსახური განაგრძობდა აქტიურ თანამშრომლობას ბიზნესსექტორის წარმომადგენლებთან. ამ მიზნით შრომის ინსპექციის სამსახური რამდენიმე მექანიზმს იყენებს, მათ შორის, სოციალური პარტნიორობის სამმხრივ მექანიზმს, შრომის ინსპექციის სამსახურის მთავარ შრომის ინსპექტორთან არსებულ მრჩეველთა საბჭოსა და ორმხრივ საინფორმაციო თუ სამუშაო შეხვედრებს.

ბიზნესსექტორის წარმომადგენლების ცნობიერების ამაღლების, შრომის ინსპექციის სამსახურის მზარდ მანდატზე ინფორმაციის გაზიარების მიზნით საანგარიშო პერიოდში ორგანიზებულ იქნა 6 საინფორმაციო/სამუშაო შეხვედრა.

აქტივობა 1.4.6 ბავშვთა ტრეფიკინგის შემთხვევებზე ეფექტიანი რეაგირების მიზნით ზრუნვის სააგენტოს, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და პროკურატურის ერთობლივი სამუშაო შეხვედრების ჩატარება

ინდიკატორი: შეხვედრების რაოდენობა (მინ. 2)

სტატუსი: სრულად შესრულდა

2024 წლის 25 აპრილს და 29 მაისს, მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციასთან (IOM) თანამშრომლობით, ქ. ქუთაისსა და ქ. ბათუმში, შესაბამისად, გაიმართა ერთობლივი სამუშაო შეხვედრები ქუჩაში მცხოვრები ან/და მომუშავე ბავშვების თემაზე. სახელმწიფო უწყებებთან ერთად, შეხვედრებს ესწრებოდნენ ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციებისა და ადგილობრივი თვითმმართველობების წარმომადგენლები. შეხვედრების ფარგლებში განხილულ იქნა მიუსაფარი ბავშვების დაცვისა და მათთვის სერვისების მიწოდების კუთხით ადგილობრივ დონეზე არსებული გამოწვევები.

ამასთან, 2024 წლის 9-10 მარტს და 8-9 ივლისს, ევროპის კავშირის პროექტის „მართლმსაჯულების სისტემის რეფორმის ხელშეწყობა საქართველოში“ ფინანსური მხარდაჭერით, ქუჩაში მცხოვრები ან/და მომუშავე ბავშვების ყველა სახის ძალადობისგან, მათ შორის, ტრეფიკინგისგან დაცვის 2025-2030 წლების სახელმწიფო სტრატეგიის (შემდგომ – სტრატეგია) პროექტზე მუშაობის მიზნით გაიმართა სამუშაო შეხვედრები სამუშაო ჯგუფის წევრი უწყებების მონაწილეობით. სამუშაო შეხვედრებს, ასევე, ესწრებოდნენ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების საკითხებში საერთაშორისო ექსპერტები. შეხვედრების მიგნებები აისახა სტრატეგიის არსებულ პროექტში.

აქტივობა 1.4.7 შრომითი ექსპლუატაციის შემთხვევებზე ეფექტიანი რეაგირების მიზნით ჯანდაცვის სამინისტროს (შრომის ინსპექციის სამსახური), შინაგან საქმეთა სამინისტროს და პროკურატურის ერთობლივი სამუშაო შეხვედრების ჩატარება

ინდიკატორი: შეხვედრების რაოდენობა (მინ. 2)

სტატუსი: სრულად შესრულდა

2023 წლის 12 დეკემბერსა და 2024 წლის 27 დეკემბერს საქართველოს გენერალური პროკურატურის ორგანიზებით გაიმართა შრომითი ტრეფიკინგის ფაქტების გამოვლენის, პრევენციისა და აღკვეთის სამუშაო ჯგუფის ონლაინ შეხვედრა. სახელმწიფო უწყებების (პროკურატურა, შსს, იუსტიციის სამინისტრო, ზრუნვის სააგენტო, შრომის ინსპექცია, სოციალური სააგენტო) წარმომადგენლებმა განიხილეს შრომითი ტრეფიკინგის მიმართულებით გატარებული ღონისძიებები. აღნიშნული სამუშაო ჯგუფის მიზანია სახელმწიფო უწყებების კოორდინირებული მუშაობის უზრუნველყოფა შრომითი ტრეფიკინგის ფაქტების გამოსავლენად.

აქტივობა 1.4.8 სისხლის სამართლის პროცესში მონაწილე უწყებების მიერ, საჭიროების შემთხვევაში, დასრულებული საქმეების ერთობლივი განხილვა ტრეფიკინგის დანაშაულის ახალი ტენდენციების გამოვლენის მიზნით

ინდიკატორი: განხორციელებული შეხვედრების რაოდენობა (მინ. 2); გამოვლენილი ტენდენციები და, საჭიროების შემთხვევაში, ტენდენციების შესაბამისად შემუშავებული რეკომენდაციები

სტატუსი: მეტწილად შესრულდა

1.4.6 და 1.4.7 აქტივობების შესრულების ანგარიშში მოცემული უწყებათაშორისი შეხვედრების ფარგლებში განხილულ იქნა რელევანტური სისხლის სამართლის საქმეები და არსებული გამოწვევები.

აქტივობა 1.4.9 პარტნიორი ქვეყნების, განსაკუთრებით კი, საქართველოს მოსაზღვრე სახელმწიფოების შესაბამის უწყებებთან თანამშრომლობის გაღრმავება/მოლაპარაკებების დაწყება, მათ შორის, ტრანსნაციონალური თანამშრომლობის გაღრმავების მიზნით

ინდიკატორი: სამთავრობათაშორისო შეხვედრების რაოდენობა; გაფორმებული ხელშეკრულებების/მემორანდუმების რაოდენობა

სტატუსი: სრულად შესრულდა

ტრანსნაციონალური თანამშრომლობის გაღრმავების მიზნით დანაშაულთან ბრძოლის, მიგრაციისა და რეადმისიის საკითხებზე შინაგან საქმეთა სამინისტრომ 2023-2024 წლებში გააფორმა შეთანხმება „საქართველოსა და ბელგიის სამეფოს შორის სამართალდაცვით სფეროში თანამშრომლობის შესახებ“. აღნიშნული შეთანხმება რატიფიცირებულ იქნა საქართველოს პარლამენტის მიერ.

აღსანიშნავია, რომ ადამიანით ვაჭრობის წინააღმდეგ ბრძოლის მიმართულებით არსებული გამოცდილების გაზიარების მიზნით 2023 წლის 24-29 აპრილს ტაჯიკეთის სამთავრობო დელეგაცია ოფიციალური ვიზიტით ეწვია საქართველოს. ადამიანით ვაჭრობის წინააღმდეგ ბრძოლის საუწყებათაშორისო საკოორდინაციო საბჭოს წევრ უწყებებთან ვიზიტის ფორმატში ქართულმა და ტაჯიკურმა მხარეებმა ერთმანეთს სექტორული ინფორმაცია და გამოცდილება გაუზიარეს. ვიზიტი მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის ფინანსური მხარდაჭერით განხორციელდა.

აქტივობა 1.4.10 ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) საქმეებზე უცხო ქვეყნების სამართლებრივი დახმარების შუამდგომლობების შესრულება და საქართველოს კომპეტენტური ორგანოების სამართლებრივი დახმარების შუამდგომლობების გადაგზავნა მოკლე ვადებში

ინდიკატორი: შემოსული შუამდგომლობების შესრულების ვადა (მაქს. 21 დღე)

სტატუსი: მეტწილად შესრულდა

2023 წელს საქართველოს პროკურატურის მხრიდან ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) საქმეებზე უცხო ქვეყნების სამართლებრივი დახმარების შუამდგომლობების შესრულების საშუალო პერიოდი იყო 30 დღე (შემოვიდა 4 შუამდგომლობა), ხოლო საქართველოს კომპეტენტური ორგანოების სამართლებრივი დახმარების შუამდგომლობების გადაგზავნის საშუალო პერიოდი – 7 დღე.

2024 წელს კი, საქართველოს პროკურატურის მხრიდან ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) საქმეებზე უცხო ქვეყნების სამართლებრივი დახმარების შუამდგომლობების შესრულების საშუალო პერიოდი იყო 26 დღე (შემოვიდა 5 შუამდგომლობა), ხოლო საქართველოს კომპეტენტური ორგანოების სამართლებრივი დახმარების შუამდგომლობების გადაგზავნის საშუალო პერიოდი – 8 დღე.